# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 27 სექტემბერი 2001 №184 (1457) | ფასი 50 თეთრი


# შალკე 00 და ლაციო: შემოციო, შოვაციო


REUTERS გელზენკირხენიდან

შალკე — მალიორკა 0:1. გელზენკირხენელთა ჰოლანდიელი ნიკო ვან კერკჰოვენი მალიორკელი სამუელ ეტოოს (№9) გოლს მიწაზე განრთხმული შესცქერის

ლიგაში მოთამაშე ოცდათორმეტი გუნდიდან მესამე ტურის შემდეგ სამია ისეთი, ჯერ ქულაც რომ ვერ მოუპოვებია. თურქული „ფენერბაჰჩეს“ მშრალზე ყოფნა თუ დიდად გასაკვირი არ გახლავთ, გერმანული „შალკესა“ და გამორჩეულად იტალიური „ლაციოს“ ნულები მართლაც საოცარია.

გუშინ „შალკე“ კამერუნელი სამუელ ეტოოს გოლით ესპანურ „მალიორკასთან“ შინ დამარცხდა, ალბერტო ძაკერონისთვის ჩაბარებულმა „ლაციომ“ კი სამი ქულა „პსვ ეინდჰოვენს“ დაანება, ჰოლანდიელთა 1:0 გამარჯვებაში თავისი წილი გიორგი გახოკიძემაც დაიდო. მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა ჩვენებური ბოლო 17 წუთს ათამაშა.

იხილეთ მეორე გვერდი

# რეკორდ ჩკა!

## საქართველოს ერთადერთი მსოფლიოს რეკორდი დაუბრუნდა

ერთი თვეც არ გასულა, რაც გაავსტრალიელებულმა სომეხმა ძალოსანმა სერგო ჩახოიანმა ბრისბენში კეთილი ნების თამაშები მოიგო და 85 კილოგრამამდე წონაში ჩვენებური გიორგი ასანიძის მსოფლიოს რეკორდი ატაცში ხუთასი გრამით გააუმჯობესა — 181,5 კგ. გამარჯვებისთანავე ჩახოიანმა აღნიშნა: სომხური კონიაკი მსოფლიოში საუკეთესოა და ჩემი რეკორდის აღსანიშნავად სწორედ მას შევსვამო. გუშინ კი გაირკვა, რომ კონიაკამდე ჩახოიანს დოპინგი, კერძოდ, სტანოზოლოლი უყლაპია. მას კეთილი ნების თამაშების ტიტული, მსოფლიოს რეკორდი და საპრიზოდ მიღებული 31 ათასი დოლარი ჩამოართვეს, თანაც ორწლიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს. მსოფლიოს რეკორდად კი კვლავ გიორგი ასანიძის მიერ შარშან ატაცებული 181 კილოგრამი რჩება. და კიდევ, ბრისბენში ასანიძემ მესამე ადგილი დაიკავა, ჩახოიანის დისკვალიფიკაციის გამო კი იგი ავტომატურად გამოცხადდება კეთილი ნების თამაშების მეორე პრიზიორად.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

~~ჩახოიანი 181.5~~




ასანიძე 181.0



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა. მესამე ტური

## A ჯგუფი

### რომა 2:1 ლოკომოტივი

0:1 ობრადოვიჩი (58), 1:1 ჩუგაინოვი (69ს.კ.), 2:1 ტოტი (79)
რომა: ანტონიოლი, კაფუ (გიგუ 61), ძებინა, სამუელი, ძაგო, კანდელა, ტომაზი (ასუნსაო 61), ლიმა, ტოტი, მონტელა (ბატისტუტა 46), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ჩუგაინოვი, ჩერევჩენკო, ობრადოვიჩი, მამინოვი, იზმაილოვი, ლეკხეტო, ლოსკოვი, დროზდოვი, პიმენოვი (ბუზნიკინი 73), იგნაშევიჩი
მწვრთნელი: იური სიომინი
მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)
40 000 მაყურებელი

### რეალი 4:1 ანდერლეხტი

0:1 დინდანე (33), 1:1 სელადესი (49), 2:1, 3:1 რაული (51, 68), 4:1 სოლარი (79)
რეალი: კასილიასი, სალგადო (ჯერემი 69), რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, სელადესი, მაკელელე (ბალიჩი 81), სოლარი, ფიგუ, რაული, მორიენტესი (მორიენტესი 72)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრასონი, ვან ჰუტი, დე ბუკი, ილიჩი, ვანდერეგე, ბასეჯიო (ელ საიდი 66), ჰასი (დე ბილდე 59), ჰენდრიქსი (ო. ტომპსონი 71), სტოიკა, დინდანე
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
65 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ანდერლეხტი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

## B ჯგუფი

### ბოავიშტა 2:1 დორტმუნდი

1:0 ელპიდიუ სილვა (22), 2:0 სანჩესი (38), 2:1 ამოროზო (75)
ბოავიშტა: რიკარდუ, ფრეშაუ, ერივენი, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, გლაუბერი (გუვეია 75), ა. პეტი, სანჩესი, დუდა, ალეშანდრე (ბოსინგვა 80), ელპიდიუ სილვა (სერჟინიუ 75)
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, როიტერი, იურგენ კოლერი (რიკენი 63), ევანილსონი, სტევიჩი (ჰერლიხი 82), დედე, როსიცკი, სორენსენი (ბობიჩი 46), იან კოლერი, ამოროზო
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაძევება: ამოროზო (90)
მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)
8 000 მაყურებელი

### ლივერპული 1:0 დინამო

1:0 ლიტმანენი (23)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ვინალი, ანზო, ჰიიპია, ჰამანი, ჯერარდი, ბარმბი (მერფი 61), რიისე (მაკალისტერი 79), ლიტმანენი (ფაულერი 65), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
დინამო: ფილიმონოვი, ფიოდოროვი, გოლოვკო, ვაშჩუკი, მელაშჩენკო, ბელკევიჩი (სერებრიანიკოვი 81), გიოანე, იდაჰორი, ნესმაჩნი, ჩერნატი (პეევი 69), გავრანჩიჩი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
33 513 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ლივერპული | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| დორტმუნდი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| დინამო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

## C ჯგუფი

### პანათინაიკოსი 1:0 არსენალი

1:0 კარაგუნისი (25)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, პაულუ სოუზა, ვლაოვიჩი (კონსტანტინუ 65), მიკაელსენი, ვოკოლოსი, კირიაკოსი, ბასინასი, ოლისადებე (კოლკა 70), კარაგუნისი (სარიჩი 84), ფისასი
მწვრთნელი: იოანის კირიასტასი
არსენალი: სიმენი, ეშლი კოული, ვიეირა, კიოუნი, პირესი, ლიუნგბერგი (კანუ 68), ლორენი, პარლოუ (ვან ბრონკჰორსტი 53), აშსონი, ანრი, ვილტორდი (ჯეფერსი 68)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
17 200 მაყურებელი

### შალკე 0:1 მალიორკა

0:1 ეტოო (65)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი (ასამოა 70), ვან კერკჰოვენი, უდე კამპუისი, ვან ჰუგდალემი, ნემეცი (მულდერი 82), მიოლერი, ბიომე (ბიუსკენსი 67), აგალი, მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
მალიორკა: როა, ოლაიზოლა, ფერნანდესი (ფატიჰი 46), ნადალი, მიგელ სოლერი, ენგონგა, მარკოსი, ნოვო, დიასი (ჩიჩი სოლერი 87), ეტოო, ლუკე (პაუნოვიჩი 72)
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)
52 300 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| მალიორკა | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 | 6 |
| არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| შალკე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

## D ჯგუფი

### პსვ ეინდჰოვენი 1:0 ლაციო

1:0 ჰოფლანდი (40)
პსვ ეინდჰოვენი: კრალი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ბუმა, რომედალი (მახოჯაძე 73), ვან ბომელი (ლუსიუსი 62), ფოგელი, რამზი, კეჟმანი, ბრუგინკი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 89)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ლაციო: პერუცი, კოლონეზე, კოუტუ, პანკარო, ბაჯო, მენდიეტა (პობორსკი 72), ჯანიკედა, სიმეონე (დ. სტანკოვიჩი 38), ფიორე, კლაუდიო ლოპესი, კოვაჩევიჩი (ს. ინძაგი 74)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
მსაჯი: თომას მაკკარი (შოტლანდია)
30 000 მაყურებელი

### ნანტი 0:1 გალათასარაი

0:1 სერგენი (78)
ნანტი: ლანდრო, არმანი, ფაბრი, დელომო, დეროფი, ოლემბე, ბერსონი, დალმა, კუინტე დევინო (ჯემბა 70), აჰამადა
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გალათასარაი: მონდრაგონი, ემრე ასიქი, არიფი (სერგენი 56), სუათი (ფლურკინი 65), ბიულენთ აკინი, პერესი, კაპონე, სერქანი, ჰაქან უნსალი, ერგუნი (უმით კარანი 77), ჰასან შაში
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)
28 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| გალათასარაი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ნანტი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ლაციო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |



REUTERS რომიდან

რომა — ლოკომოტივი. გაბრიელ ბატისტუტა ლამის აუტში გადასული ბურთისთვისაც თავს იკლავდა



REUTERS ეინდჰოვენიდან

ძაკერონი, ეტყობა, კიდევ ბევრს იყვირებს



REUTERS ათენიდან

პანათინაიკოსი — არსენალი. ბერძნები ლიგურმა 9 ქულამ გადარია



REUTERS პორტუდან

ბოავიშტა — დინამო. პორტუგალიური სიხარულის ზედაბორა



წინა სეზონში „ბარსელონადან" აბარგებულ ხოსეპ გვარდიოლას ბევრმა სახელოვანმა კლუბმა დაადგა თვალი, მაგრამ ევროპის ბობოლა საფეხბურთო ქვეყნებში ჩემპიონატები ისე დაიწყო, „ბარსას" ყოფილმა კაპიტანმა გუშინდლამდე ვერ მოახერხა რომელიმე გუნდში მოწყობა. გუშინ კი გვარდიოლამ კარიერა ერთი წლით გააგრძელა იტალიურ „ბრეშაში", რომელიც სერია A-ს საშუალო დონის გუნდად ითვლება და თავს მხოლოდ რობერტო ბაჯოთი თუ მოიწონებს.


24 ინფორმაცია საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)


## შოტლანდია

**ლიგის თასი. II ეტაპი**

კლაიდი 1:2 სენტ ჯონსტონი
ინვერნესი 3:3დ.დ. (პენ. 4:2, 2:2) პარტიკი
ლივინგსტონი 3:0 ისტ ფაიფი
დანფერმლაინი 3:0 ალოა
ჰამილტონი 0:2 დანდი
სტირლინგი 2:1 სენტ მირენი

## შვეიცარია

**A ჯგუფი. გადადებული მატჩი**

ბაზელი 3:1 ლოზანა

## ჰოლანდია

**თასის II ეტაპი**

ვემერტი (მოყვ.) 0:3 ექსელსიორი (II)

## ინგლისი

**პრემიერლიგა**

**გადადებული მატჩი**

ნიუკასლი 1:0 ლესტერი
1:0 სოლანო (33)

**I დივიზიონი. X ტური**

პრესტონი 4:0 ნორვიჩი
უოტფორდი 3:3 ბირმინგემი

**II დივიზიონი. X ტური**

სტოკ სიტი 3:0 კოლჩესტერი

## ფინეთი

**გადადებული მატჩები**

ჯაზი 1:0 მიუპა
ვაასა 4:1 ატლანტისი
ტამპერე 2:0 ინტერი

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. E ჯგუფი

# იუვემ რუსენბორგი ძელზე გააკრა



REUTERS

ჰენრიკ ლარსონი

**გლაზგოს** „პარკჰედზე“ „სელტიკის“ თავკაცი მარტინ ონილი ტრიბუნაზე იჯდა. მიზეზი: პირველ შეხვედრაში, ტურინში, მისმა გუნდმა (რომელმაც მეორე ტაიმის შუაში ანგარიში ფრიად საეჭვო პენალტით გაათანაბრა) ბოლო წუთებში დანიშნული საეჭვო პენალტით წააგო, რამაც მწვრთნელი გააცეცხლა.

და, როგორც გაირკვა, ტრიბუნაზე ჯდომა სათადარიგოთა სკამზე ჯდომასთან შედარებით გაცილებით იღბლიანი ყოფილა — „პორტუსთან“ თამაშის პირველ ტაიმში ჰენრიკ ლარსონის გატანილი გოლი ერთადერთი ანუ გამარჯვებისა აღმოჩნდა.

„ბედნიერი ვარ, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინ კიდევ ბევრია სათამაშო“ — განაცხადა ლარსონმა, რომელიც, როგორც ჩანს, არ ეთანხმება ჩვენს მოსაზრებას ონილის დასაჯდომ ადგილთან დაკავშირებით — „მისი დაბლა ყოლა ყოველთვის კარგია, თუმცა დღეს ისედაც გავიმარჯვეთ“.

კრის სატონმა კი განაცხადა, რომ სტადიონზე ინგლისის ნაკრების თავკაცის, სვენ გორან ერიკსონის ყოფნას მასზე არ უმოქმედია:

„მიხარია, რომ გავიმარჯვეთ და რა შუაშია აქ ინგლისის ნაკრები? დღეს „სელტიკს“ რომ წაეგო, ძალიან რთულ დღეში ჩავვარდებოდით. წარმოიდგინეთ, ექვსქულიანი ჩამორჩენა რომ გვქონდეს, როგორ გავხდებოდით დამოკიდებული სხვათა ანგარიშებზე, თუმცა ნორვეგიაში „იუვენტუსის“ ფრის ამბავი მაინც მესიამოვნა. ამიერიდან გამარჯვებათა ტალღაზე სვლა გვჭირდება. ჩვენ ვალდებულნი ვართ, მეორე ადგილი მოვიპოვოთ და მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავიდეთ“.

სატონის ირლანდიელმა თანაკლუბელმა, ნილ ლენონმა კი თქვა:

„მეორე ტაიმში ცოტა გავრისკეთ. მართალია, ერთი-ორი მომენტი გვქონდა, მაგრამ ერთი-ორი მომენტი ჰქონდა მოწინააღმდეგესაც. ერთი სიტყვით, შესვენების შემდეგ ბედმაც გაგვიღიმა, მაგრამ ეს ყოველთვის აუცილებელია. ბოლოს და ბოლოს პირველ ტურში ისე კარგად ვითამაშეთ და ისე მწარედ დავმარცხდით, რომ დღეს აუცილებლად გვჭირდებოდა გამარჯვება. მართლაც, ცალკეულ ეპიზოდებში მსოფლიო კლასის ფეხბურთი ვაჩვენეთ“.

„სელტიკის“ კაპიტანი პოლ ლამბერტი:

„ჩვენს მწვრთნელს დღეს პრესკონფერენციაზე დასწრება აკრძალული აქვს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ბედნიერია. მან კარგად იცის, რა რთული თამაშიც გადავიტანეთ და ძალიან კმაყოფილია, ასე ღირსეულად რომ გავართვით ამოცანას თავი. ერთში მინდა გამოგიტყდეთ: „იუვენტუსთან“ დამარცხების შემდეგ ჩვენ ვიცით, რომ ყველა დარჩენილი შეხვედრა უნდა მოვიგოთ“.

დამარცხებული „პორტუს“ მწვრთნელი ოქტავიუ მაჩადუ:

„ძალიან თანაბარი ძალის გუნდებით დაკომპლექტებული ჯგუფია. მე თუ მკითხავთ, შემდგომ ეტაპზე გასვლა თითოეულ ჩვენგანს შეუძლია. ასე რომ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

### სელტიკი 1:0 პორტუ

1:0 ლარსონი (36)

**სელტიკი:** დუგლასი, მიალბი, ბალდე, ვალგაერენი, აგატი, ლამბერტი, ლენონი, პეტროვი (მაკნამარა 89), პეტა (ტომსონი 69), ლარსონი, სატონი

**პორტუ:** ოვჩინიკოვი, იბარა (პოსტიგა 76), ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კარვალიუ, მარიუ სილვა (ალენიჩევი 46), ჟორჟე ანდრადე, კოშტინია (ჟუნიორი 46), პარედესი, დეკო სოუზა, ნუნუ კაპუშუ, პენა

მწვრთნელი: ოქტავიუ მაჩადუ

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

54 664 მაყურებელი

### რუსენბორგი 1:1 იუვენტუსი

0:1 დელ პიერო (85), 1:1 სკამელსრუდი (88პ)

**რუსენბორგი:** არასონი, რ. სტრანდი (ო. ოლსენი 46), ჰოფტუნი, ბასმა, სკამელსრუდი, საარინენი (სტენსაასი 71), ბერგი, ბრატბაკი, ფ. იონსენი, ენერლი (ბ. იონსენი 78), რუშფელდტი

მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი

**იუვენტუსი:** ბუფონი, მონტერო, ონილი (სალასი 58), პესოტო, იულიანო, ძენონი (მარესკა 77), ძამბროტა, ტაკინარდი, ტურამი, დელ პიერო, ტრეზეგე

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

20 578 მაყურებელი

**თამაშის** შემდეგ ნორვეგიელები, მთელი ღამე თავიანთ ბედის ვარსკვლავს უძღვნიდნენ დიდ მადლობას, რადგან სწორედ მან მოაპოვებინათ ქულა „იუვენტუსთან“. ტურინელები პირველი წუთებიდან მართავდნენ შეხვედრას, რომელშიც ბურთი სამჯერ გაარტყეს ძელს, სანამ, როგორც იქნა, 85-ე წუთზე დელ პიერომ გოლი არ გაიტანა. „იუვენტუსის“ ვარსკვლავმა იმ ეპიზოდში უზადო ოსტატობა გამოავლინა, მაგრამ გუნდის ვარსკვლავი ბედის ვარსკვლავთან, აბა, როგორ მოვა. ოთხ წუთში სტუმართა გოლკიპერმა ჯანლუიჯი ბუფონმა საკუთარ სამფლობელოში თამაშის წესი დაარღვია, რისთვისაც ჰოლანდიელმა მსაჯმა იან ვეგერეეფმა პენალტი დანიშნა. თერთმეტი მეტრიდან ანგარიში ბენტ სკამელსრუდმა გაათანაბრა.

როგორი ტაქტიკით ითამაშა „იუვენტუსმა“? ტაქტიკა, უფრო სწორედ კი სქემა, მოგეხსენებათ, გარემოებებით არის ხოლმე განპირობებული. კერძოდ, ტურინელებს ნახევარდაცვის ორი წამყვანი ფეხბურთელი, ედგარ დავიდსი და პაველ ნედვედი დისკვალიფიცირებული ჰყავთ. რის გამოც მარჩელო ლიპიმ მოედნის შუაგულში ალესიო ტაკინარდისა და შედარებით გამოუცდელი ფაბიან ონილის წყვილი დატვირთა. თავდასხმაში კი, განსხვავებით ლიგის პირველი შეხვედრისგან, რომელშიც „ბებერმა ქალბატონმა“ „სელტიკს“ მოუგო 3:2, ლიპის სამის ნაცვლად ორი რჩეული ჰყავდა — დელ პიერო და დავიდ ტრეზეგე ანუ მარსელო სალასს სათადარიგოთა სკამზე მოუხდა ჯდომა.

ზემოთ შედარებით გამოუცდელი ონილი ვახსენეთ. უნდა ითქვას, რომ ურუგვაელს ამ შეხვედრაში ცუდად არ უთამაშია. პირველი ხიფათი მასპინძელთა კართან სწორედ მან შექმნა, მაგრამ ეპიზოდი მეტოქის მცველთან ჭიდილში მისი წაქცევით დასრულდა და მსაჯმა პენალტი არ დანიშნა.

პირველ ტაიმში ნორვეგიელთაგან საუკეთესო მომენტი ყოფილ სელტიკელს ბრატბაკს ჰქონდა. მან „იუვეს“ მცველისგან ასხლეტილ ბურთს დაარტყა, მაგრამ პოზიციადაკარგული ბუფონის კარს ვერ დაუმიზნა.

მეორე ნახევარში დელ პიეროს, ტრეზეგესა და ონილის კომბინაცია ამ უკანასკნელის მიერ ბურთის ძელისთვის გარტყმით დასრულდა. შემდეგ, როდესაც ონილი სალასმა შეცვალა, ბურთი მეორედ მოხვდა მასპინძელთა კარს — ამჯერად დელ პიერომ გაარტყა. მესამედ კარის ჩარჩოს ჯანლუკა ძამბროტამ დაუმიზნა.

„მართლაც დამწყდა გული“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ლიპიმ — „ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ. შედარებით თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით. განსაკუთრებით დელ პიერომ გაიბრწყინა. რაც შეეხება ონილს, იგიც ძალიან კარგი იყო, ოღონდ ბოლომდე ვერ გაძლებდა და ამის გამო შევცვალე სალასით. უნდა ითქვას, რომ დიდი როლი შეასრულა ჩილელმაც. მისი მოედანზე შესვლის შემდეგ დელ პიერომ ოდნავ უკან დაიწია და იქაც საუცხოოდ ითამაშა. ერთი სიტყვით, თუ მასპინძლების თავით თამაშის უნარს არ ჩავთვლით, ფაქტობრივად, ყველაფერში ჩვენი უპირატესობა გამოიკვეთა.“

ბოლოს ლიპიმ ორი ტური შეაჯამა: „პირველ შეხვედრაში „სელტიკთან“ ბედმა ჩვენ გაგვიღიმა, მეორეში კი საუცხოოდ ვითამაშეთ და ვერ მოვიგეთ. რომ მოგვეგო, ენა არავის მოუბრუნდებოდა.“

**ბაჩუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| სელტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. F ჯგუფი

# მე უშენობამ წაგებასთან დამაძმობილა

### ლევერკუზენი 2:1 ბარსელონა

0:1 ლუის ენრიკე (22), 1:1 ბასტურკი (52), 2:1 ნოივილი (69)

**ლევერკუზენი:** ბუტი, სებესკენი (ბასტურკი 46), ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, ზე რობერტო (ქივკოვიჩი 83), შნაიდერი, რამელო, ბალაკი, კირსტენი (ოჯიგვე 75), ნოივილი

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

**ბარსელონა:** ბონანო, პუიოლი (გაბრი 72), ჰ. ანდერსონი, კრისტენვალი, სერხი, ხავი, როჩემბაკი (ხერარდი 78), კოკუ, ლუის ენრიკე, კლუივერტი, ჯოვანი (სავიოლა 55)

მწვრთნელი: კარლის რექსაჩი

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

22 500 მაყურებელი

**ხანდახან** ამბობენ, შეუცვლელი არავინ არისო. სწორედაც რომ პირიქითაა. რივალდოს შემცვლელი თავად რივალდოა, რომელიც თავის გუნდს ვერაფრით ეხმარება. ბარსელონელთა ახალწვეული ხავიერ სავიოლა ამას წინათ ამბობდა, უნდა შევძლოთ და რივალდოს გარეშეც მაღალ დონეზე ვითამაშოთო. „ფენერბაჰჩესთან“ შეძლეს, მაგრამ „ბაიერთან“ დაეტყოთ, ბრაზილიელი რომ არ ჰყავდათ.

ლევერკუზენელებს უხაროდათ რივალდოს არყოფნა. ალბათ, იფიქრეს, ამათ იოლად დავამარცხებთო და პირველი ტაიმის 22-ე წუთზე დაისაჯნენ. მართალია, ლუის ენრიკე თამაშგარეში იმყოფებოდა, მაგრამ მან ისე ოსტატურად ჩამოიშორა მცველი და კარშიც ზუსტად დაარტყა, რომ გვერდითი მსაჯის შეცდომა ამად ღირდა.

მასპინძლები გონს მოეგნენ და გაშვებული გოლიდან შვიდიოდ წუთში თერთმეტმეტრიანიც მოიპოვეს. პენალტის დასარტყმელად „ბაიერის“ მეკარე ჰანს იორგ ბუტი საკუთარი კარის ხაზიდან ძუნძულით ჩავიდა. არავინ იცის, გზად რაზე ფიქრობდა — ბურთი ნიშნულზე გაასწორა, მარჯვენა ფეხი უშნოდ ჰკრა და კარს უკან სარეკლამო ფარს გაარტყა. შემდეგ აუღელვებლად შებრუნდა, თანაგუნდელები დოინჯშემოყრილნი დატოვა და კუთვნილი ადგილი დაიკავა. ამ ეპიზოდმა ისე ჩაიარა, თითქოს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო.

მასპინძლებმა გაცუდებული პენალტის შემდეგ გაორმაგებული ენერგიით შეუტიეს და საგოლე მომენტებიც შექმნეს, მაგრამ პირველი ნახევარი „ბარსას“ გამარჯვებით დასრულდა.

მეორე ტაიმში სტუმრები ინერტულნი იყვნენ და ლევერკუზენელებმა თავიანთი შანსი გამოიყენეს. 52-ეზე ნატურალიზებულმა გერმანელმა, წარმოშობით კი თურქმა ბასტურკმა ერთგვარად შური იძია „ბარსასგან“ „ფენერბაჰჩეს“ დამარცხებისთვის, მოძრაობაზე დაიჭირა ბონანო და ახლო კუთხეში გაუტანა.

გერმანულმა მანქანამ სვლას უმატა, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო. შეხვედრის დასრულებამდე 21 წუთით ადრე ნოივილმა მეორე შეაგდო.

აქედან მოყოლებული სტუმრები რაღაცას ცდილობდნენ, მაგრამ მთავარი კაცის არყოფნაში ღირებული ვერაფერი შექმნეს. ასე და ამგვარად, ლევერკუზენის „ბაიერმა“ კლაუს ტოპმიოლერის თავკაცობით 12-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია გააგრძელა. შეხვედრის შემდეგ მწვრთნელმა განაცხადა, რომ მისმა ბიჭებმა პირველ ტაიმში საშინლად ითამაშეს. შესვენებაზე სერიოზული საუბრის შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დალგა და გამარჯვებამაც არ დაახანა.

### ფენერბაჰჩე 0:1 ლიონი

0:1 დელმოტი (88)

**ფენერბაჰჩე:** რუშთუ, მერიჩი, ოგიუნი, დოგანი, მირკოვიჩი, რაპაიჩი (კ. ანდერსონი 46), რევივო, ლაზეტიჩი (ჩეიპუნი 82), აბდულა, ჯონსონი, გიუნეში (სერპათი 73)

მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი

**ლიონი:** კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი (კასაპა 64), ვიოლო, კარიერი (ლეგლი 84), ბრეშე, გოვუ, დელმოტი, ფოე, ლუენდულა (ლინარესი 89), მიულერი

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

მსაჯი: ფრანკ დე ფლეკერი (ბელგია)

16 000 მაყურებელი

სტამბოლში თამაში რომ ძნელია, საყოველთაოდ ცნობილია. თუმც მაღალი კლასის ფეხბურთელები თუ არ გყავს, შინაურ კედლებში კი არა, სადაც გინდა, იქ ითამაშე, მოგებას ვერ შეძლებ. ეს ხომ ჩემპიონთა ლიგაა და არა თურქეთის ჩემპიონატი. ბევრს ეცადა მუსტაფა დენიზლის გუნდი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მთელი 90 წუთის განმავლობაში თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, საგოლე მომენტებამდე კი საქმე ძალიან იშვიათად მიდიოდა. ვერც ერთი გუნდი ვერ რისკავდა უკანმოუხედავად შეტევაში გადასვლას. ერთ ეპიზოდში მასპინძლებმა ჩათვალეს, რომ ფოემ საჯარიმოში ხელით ითამაშა, ბელგიელმა მსაჯმა კი თამაშის გაგრძელება ბრძანა. მატჩი ფრედაც უნდა დასრულებულიყო, თუმც „ლიონი“ თავის წუთს დაელოდა, რომელიც შეხვედრის მიწურულს დადგა. 88-ეზე საჯარიმოში ჩაწოდებულს დელმოტმა მიუსწრო და „ფენერს“ იმედები გაუქარწყლა. გასაკვირი მხოლოდ ისაა, თურქებმა ამგვარი თამაშით საკვალიფიკაციო ეტაპზე „რეინჯერსის“ ბარიერი როგორ გადალახეს.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |



REUTERS

ფენერბაჰჩე — ლიონი. თურქმა აბდულამ სტუმართა ბრაზილიელი ედმილსონი (მარცხნივ) წააქცია და ეგებ, არ შენიშნონო, პირველი თავად დაეცა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!
ამა წლის 29 სექტემბერს გრიბოედოვის
თეატრის შენობაში გაიმართება
ასოციაციის VIII საერთო კრება.
წევრთა დასწრება სავალდებულოა.
რეგისტრაცია დაიწყება 9 საათზე

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. G ჯგუფი

# ლეგენდა მანჩესტერზე

**დეპორტივო 2:1 მანჩესტერი**

**0:1 სქოულზი (40), 1:1 პანდიანი (86), 2:1 ნაიბეტი (89)**

**დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი (ვალერონი 46), სერხიო (სკალონი 61), ფრანი, ტრისტანი, მაკაი (პანდიანი 61)**

**მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა**

**მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, რ. იონსენი, ბლანი, ირვინი, ბექჰემი (ენდი კოული 90), ვერონი, კინი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი (სოლსკიაერი 90)**

**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**

**მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)**

**34 000 მაყურებელი**

**მატჩის** შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა: „დეპორტივო“ ძლიერი გუნდია, თუმც შეხვედრის მიწურულს ჩვენს ჩავარდნას მეტოქის სიძლიერე ვერ გაამართლებს. მოგების ბრწყინვალე შანსი გვქონდა, მაგრამ ესპანელებმა სიმტკიცე გამოიჩინეს და ჩვენი დაუდევრობა კარგადაც გამოიყენეს. დღევანდელი შედეგი ჩვენთვის კარგი გაკვეთილი უნდა გახდეს“.

პატივცემულ მწვრთნელს ერთ რამეში შეიძლება შეედავოს კაცი — „მანჩესტერ იუნაიტედი“ მატჩის მიწურულს არ ჩავარდნილა, მთელი მეორე ტაიმი ასე იყო. უბრალოდ, მატჩის მიწურულს ინგლისელთა ზღვარგადასული დაუდევრობის შედეგი ტაბლოზე აისახა.

შედარებით თანაბარი პირველი ტაიმი სტუმართა სასარგებლოდ დასრულდა. გიგზი-ვან ნისტელროის კომბინაცია პოლ სქოულზმა ისეთი დარტყმით დაასრულა, მისი მოგერიება ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა და ხოსე ფრანსისკო მოლინას ვერაფერში დავადანაშაულებთ. თუმცა ამ ეპიზოდში ლაკორუნიელ მცველებს ვან ნისტელროისა და სქოულზის უფრო ყურადღებით მეთვალყურეობა მართებდათ.

მეორე ტაიმი „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ სრულიად კოშმარული იყო. გუნდი, რომელიც თავისი იერიშებით არის განთქმული და თამაშებსაც იმის წყალობით იგებს, რომ ბევრი გოლის გატანა შეუძლია, „დეპორტივოს“ საჯარიმოს სულ ორჯერ თუ სამჯერ მიუახლოვდა. დაგვეთანხმებით, „მანჩესტერისთვის“ ეს ძალიან ცოტაა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ორი-სამი შეტევა უაღრესად სახიფათო იყო და მხოლოდ რაიან გიგზის უხეირო საბოლოო დარტყმების გამო ვერ იქცა გოლებად.

საკმაო საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გიგზს თუნდაც ერთი რომ გაეტანა, ლაკორუნიელთა შეტევებს სიმწვავე დააკლდებოდა, მაგრამ გიგზმა ვერ გაიტანა და „დეპორტივომ“ „მანჩესტერის“ საჯარიმოში ქარიშხალი დაატრიალა.



**დეპორტივო — მანჩესტერი. სტუმართა კაპიტანი როი კინი (№16) ბურთის მოსახელთებლად თავისიანსაც შეახტა**

სრულიად გაუგებარია „დეპორტივოს“ შეტევებს „მანჩესტერმა“ რა დაუპირისპირა. რაც მანჩესტერელ მცველთა შესრულებით ვნახეთ, ოდენ ბურთის მოგერიების მცდელობა იყო და არა გონივრულად ამოტანის და თამაშის მეტოქის ნახევარზე გადატანისა. აქ სიტყვა მცდელობა ტყუილად არ გვიხმარია, რაკი მოგერიებისას თამაში ორი სცენარით გრძელდებოდა: ბურთს ისევ მასპინძლები ეუფლებოდნენ ან შემთხვევით მანჩესტერელი თუ მიიღებდა, იქვე კარგავდა. როგორც აღვნიშნეთ, გამონაკლისი სულ ორი-სამი ეპიზოდი იყო, როცა რაიან გიგზმა საქმე ვერ დაასრულა.

მეორე ტაიმის მთავარ გმირად შეცვლაზე შესული ხუან კარლოს ვალერონი გახდა, რომლის წყალობითაც ლაკორუნიელთა შეტევებმა მეტი სიმწვავე შეიძინა. ფაბიენ ბარტეზი, სანამ შეეძლო, თავგანწირვით იცავდა კარს, მაგრამ როდესაც ხომ უნდა გატეხილიყო და ბოლო ოთხ წუთში უძლური შეიქნა. დეპორტივოელთა ორივე გოლი ვალერონმა მოამზადა და ჯერ ვალტერ პანდიანის გაატანინა, მერე ნურედინ ნაიბეტს. იოლი წარმოსადგენია, რა ხდებოდა ამ დროს ტრიბუნებზე...

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ანგარიშის გამთანაბრებელი პანდიანიც ვალერონის მსგავსად შეცვლაზე შევიდა, რაც ლაკორუნიელთა მწვრთნელ ხავიერ ირურეტას გონიერებაზე მიგვანიშნებს. მანჩესტერელთა სამწუხაროდ კი სერ ალექს ფერგიუსონმა ოლე გუნარ სოლსკიაერი მაშინ შეუშვა, როცა ყველაფერი დასრულებული იყო.

ხავიერ ირურეტამ თქვა: „იღბალი არაფერ შუაშია, ჩვენ კარგი თამაშით მოვიგეთ“.

**ლილი 3:1 ოლიმპიაკოსი**

**1:0 ბაკარი (33), 2:0 შეირუ (44), 3:0 ტაფორუ (78), 3:1 იანაკოპულოსი (90)**

**ლილი: უომბე, სიგანი, ეკერი, ფაჰმი, პიშო, სტერიოვსკი, შეირუ (ტაფორუ 46), დამიკო, ნდიაე, ბუტოილი (დელპიერი 66), ბაკარი (ოლუფადე 46)**

**მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი**

**ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ბერმუდესი, ანატოლაკისი, მავროგენიდისი (ნინიადისი 64), ვენეტიდისი, პაცაცოღლუ, იანაკოპულოსი, კარამბუ, რობერტსი (ალექსანდრისი 46), ოფორი კუაე, ჯოვანი**

**მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი**

**მსაჯი: სტიუარტ დუგლასი (შოტლანდია)**

**40 000 მაყურებელი**

**ეს „ლილი“** რა ყოფილა! ერთი წლის წინ მოკრძალებული გუნდი მეორე ფრანგულ დივიზიონში თამაშობდა, ევროტურნირზე პირველად მოხვდა, წინა ტურში „მანჩესტერთან“ ოდენ ბოლო წუთზე გაშვებული ბურთით დამარცხდა და ამ ჯერზე ბერძნული „ოლიმპიაკოსი“ დასცა.

ფრანგთა ამ გამარჯვებამ, რაც ლანსის „ფელიქს ბოლერის“ სტადიონზე მოხდა (ლილის სტადიონი ჩემპიონთა ლიგისთვის უვარგისია), ჯგუფში ვითარება გვარიანად არია. ცხადია, „ლილისგან“ „მანჩესტერის“ გადასწრება ნაკლებმოსალოდნელი იყო, თუმც ეს კარგიც არის, რადგან მოსაწყენ თამაშებს აქ არ უნდა ველოდოთ.

სტილიანოს იანაკოპულოსის გვიანმა გოლმა ქულათა გადანაწილებაში ვერაფერი შეცვალა და შესაბამისად, ფრანგ ქომაგებს გულიც ვერ დასწყვიტა. იქამდე განელმა დაგუი ორფი ბაკარიმ, ბრუნო შეირუმ და გრეგორი ტაფორუმ სამი შეაგდეს. ამასთანავე „ლილი“ სრულ უპირატესობას ფლობდა, რაც ფრანგთა დამსახურებულ გამარჯვებაზე მიგვითითებს და არა შემთხვევითობაზე.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლილი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. III ტური. H ჯგუფი

# სად ფეიენოორდი და სად ბაიერნი...

**სპარტაკი 1:3 ბაიერნი**

**0:1 სალიჰამიჯიჩი (16), 0:2 ელბერი (41), 1:2 ბარანოვი (64), 1:3 ელბერი (74)**

**სპარტაკი: კაბანოვი, კოვტუნი, ბუშმანოვი (ციხმეისტრუკი 46), ბარდიონოვი (ჩუისე 46), მიტრეიკი, ბარანოვი, ანანკო, ბულატოვი, რობსონი, ტიტოვი, ბესჩასტნიხი**

**მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი**

**ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ტიამი, ნ. კოვაჩი, ფინკი (ჰარგრივსი 85), სალიჰამიჯიჩი (პაულო სერჯიო 80), ელბერი, სანტა კრუზი (პიზარო 77)**

**მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი**

**მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)**

**30 000 მაყურებელი**

**ნალდია,** „ბაიერნი“, თუნდაც მეორე შემადგენლობით, „სპარტაკზე“ გაცილებით ძლიერია. მაგრამ იღბალი? თამაშამდე ერთი საათით ადრე წამოსულმა ცივმა წვიმამ მინდორი დაალბო, ბურთი დაასველა და ორივე გუნდის ფეხბურთელები ხშირად ურტყამდნენ შორიდან. თუ ჯოვანი ელბერმა სადღაც 35 მეტრიდან ცხრიანში ფანტასტიკური გოლი გაიტანა, მოსკოველთა ამგვარი მცდელობა ამაო გამოდგა. სპარტაკელებმა ბურთი ორჯერ ხარიხას, ერთხელ ძელს გაარტყეს, ხოლო კინკილა გოლი საჯარიმოდან შეაგდეს. მაშ, სამართლიანი იყო თუ არა შედეგი? რა თქმა უნდა, სამართლიანი იყო: „მეტოქემ თავისი მომენტები უკეთ გამოიყენა, ჩვენ კი ვერა. სწორედ ამას ჰქვია კლასში განსხვავება. ამიტომაც „ბაიერნია“ ლიგის გამარჯვებული და არა „სპარტაკი“ — დაადასტურა მოსკოველთა მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმ. ის რომ გაგვეტანა და ეს არ გაგვეშვა კი ყოველთვის ჩხუბის მერე მუშტების ქნევას უფრო ჰგავს.“

„ბაიერნი“ თავიდანვე მომენტებითაც დაწინაურდა. ჯერ სალიჰამიჯიჩმა მოარტყა ძელს, მერე კი ტიამმა ახლოდან ვერ გაიტანა. მოსახდენი მაინც მოხდა, იმავ ტიამის გამოზომილ ჩაწოდებას სალიჰამიჯიჩის თავური და პირველი გოლი მოჰყვა.

მერე, ანანკოსა და ბესჩასტნიხის დარტყმებისას, „სპარტაკმა“ სულ რამდენიმე წამის შუალედში ორჯერ შეამოწმა ხარიხის სიმტკიცე. ტაიმის ბოლოს კი იყო ელბერის ჯადო-გოლი.

64-ე წუთზე ბესჩასტნიხის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო ზუსტად დაარტყა ბარანოვმა და ერთი ბურთი გაქვითა. თითქოს წინა სამშაბათის ისტორია უნდა გამეორებულიყო, როცა „სპარტაკი“ თავისსავე „ლუჟნიკიზე“ „ფეიენოორდთან“ 0:2 აგებდა და ბოლოს ფრეს მაინც მიაღწია. მაშინაც რობსონმა პირველი საპასუხო თითქმის იმავე დროს, 62-ე წუთზე გაიტანა, მაგრამ სად „ფეიენოორდი“ და სად „ბაიერნი“... ათ წუთში სალიჰამიჯიჩმა მარცხნიდან ჩააწოდა, მასპინძელთა მეკარე-მცველები საჯარიმოში აირივნენ, კაბანოვი არასწორად გამოვიდა კარიდან, ხოლო ანანკომ რატომღაც ბურთის ქუსლით მოგერიება სცადა და ელბერმა მშვიდად შეაგდო მესამე გოლი. ეს იყო და ეს.

ოტმარ ჰიცფელდი: „წინა კვირას ორივე გუნდმა უხეიროდ ვითამაშეთ, შინ ქულები დავკარგეთ, ამიტომ ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. შესვენებამდე ბურთს კარგად ვაკონტროლებდით, თუმცა ეპიზოდურად „სპარტაკიც“ სახიფათოდ გვიტევდა. ელბერის გოლი საჭირო დროს გავიდა. თუმცა მან, შესაძლოა, დარტყმამდე ხელითაც გაისწორა ბურთი“.

**სპარტა 4:0 ფეიენოორდი**

**1:0 პარტიგი (24), 2:0 ლაბანტი (37პ), 3:0 კინცლი (71), 4:0 მიხალიკი (74)**

**სპარტა: ჩეხი, გრიგერა, პუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, ლაბანტი, სიონკო (პაპუშეკი 87), იაროშიკი, პაშეკი, მიხალიკი (ზელენკა 80), პარტიგი (გოლუბი 84), კინცლი**

**მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი**

**ფეიენოორდი: ზუტებირი, ემერტონი, ვან გობელი, დე ჰაანი, რგასა, ბოსველტი, ვან გასტელი (ლეონარდო 80), პაუვე, კალუ, ტომასონი, ვან პოიდონკი**

**მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი**

**გაძევება: ვან გობელი (37)**

**მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)**

**15 150 მაყურებელი**

**წინა სამშაბათს** მიუნხენში ნათამაშევი ფრე „სპარტას“ ბევრმა მოულოდნელობად ჩაუთვალა. მაგრამ, ჩანს, იაროსლავ ჰრებიკს მართლაც მტკიცე გუნდი შეუკრავს, ხოლო ჩეხებმა რომ ფეხბურთის თამაში იციან, აბა, ვისთვისაა გასაკვირი.

მაგრამ მაინც, ასეთი მწყობრი და ჟინიანი თამაში თავის „ლეტნას“ სტადიონზე „სპარტას“, ვგონებ, მას მერე აღარ უჩვენებია, ორი წლის წინ მოსკოვის „სპარტაკს“ 5:2 რომ მოუგო. მანამდე კი ჰოლანდიური „ტილბურგი“ 4:0 გაანადგურა და ჯგუფში პირველი ადგილიც დაიკავა. მას მერე ბევრი დრო გავიდა. ახლა თავად ჩეხი ჟურნალისტებიც გაკვირვებულნი არიან. „სპარტას“ ვებ-გვერდზე წერია, „ტილბურგი“ „ტილბურგად“, მაგრამ განთქმულ „ფეიენოორდს“ თუ ასეთ დღეს დავაყრიდით, ვერავინ წარმოიდგენდაო.

წინა უქმეებზე „ფეიენოორდმა“ „ტვენტესთან“ შინაური ჩემპიონატის მატჩი გადადო, ხოლო პრაღელებმა მათთვის უხერხულ „დრნოვიცეს“ 2:0 სძლიეს. მიუხედავად ამისა, სამშაბათ საღამოს სპარტელები უფრო მოწყურებულ-ენერგიულები იყვნენ.

24-ე წუთზე სტუმარი უკანახაზელების შეუთანხმებლობას პირველი გოლი მოჰყვა. ორ მცველს შორის მოქცეულმა ლუკაშ პარტიგმა ბურთს ფეხი გაჰკრა და მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგდო. მალევე ულრიხ ვან გობელმა საჯარიმოში შევარდნილ ლიბორ სიონკოს ზურგში უბიძგა. მსაჯმა პენალტი ხომ დანიშნა და ვან გობელიც მეორე გაფრთხილებისთვის გააძევა.

ვლადიმირ ლაბანტმა ზუსტად დაარტყა თერთმეტმეტრიანი. მასპინძელთა გაафთრებული იერიშები არც მეორე ტაიმში მინელებულა და როტერდამელები მეკარე ზუტებირს უმადლოდნენ, მთლად თავს ლაფი რომ არ დაესხათ. ზუტებირი მართლაც საუცხოოდ თამაშობდა, მაგრამ მერე ის სამწუთიანი მონაკვეთიც დადგა, როცა სპარტელებმა მოწინაამდეგეს კიდევ ორი დამანგრეველი დარტყმა მიაყენეს. ჯერ რატისლავ მიხალიკის პასით მარეკ კინცლმა ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და მესამე შეაგდო,



**სპარტა — ფეიენოორდი. ჰოლანდიელმა პატრიკ პაუვემ ჩეხი მარეკ კინცლი (№9) და ბურთი ფეხზე ერთად დაისვა**

შემდეგ იმავ მიხალიკმა საჯარიმოს ხაზიდან აუღებელი დაურტყა ზუტებირს.

დამთავრდა თამაში და ჰრებიკი სიხარულისგან ბავშვივით აცქმუტდა. თქვა კიდეც, ჩემს კარიერაში ეს უდიდესი მატჩი იყოო.

მოკლედ, „სპარტამ“ თავისი მეოთხე სალიგო სეზონი საუცხოოდ დაიწყო. პრაღელები სულ ცოტა ორ კვირას ჯგუფის ლიდერებად დარჩებიან, 10 ოქტომბერს კი პირველი ტურიდან გადმოტანილ შეხვედრაში „სპარტაკს“ უმასპინძლებენ.

**სოლომონ ბულისკერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ფეიენოორდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ექვსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მოწინავე 23-ის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

## გერმანია. პირველი ბუნდესლიგა. 2001-02. VIII ტური

| თარიღი | დრო | № | | | | | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29.09.01 | 18.30 | 001 | 1:2მიუნხენი; შტუტგარტი0:2; 3:3კოტბუსი | ვოლფსბურგი | V | ლაუტერნი | ჰერტა4:1; 2:0ნიურნბერგი; ვერდერი2:1 | 2,7 | 3,0 | 2,4 | | | | : | 4:0 0:0 | 2:2 3:2 | 1:1 2:1 |
| 29.09.01 | 18.30 | 002 | 1:4ლაუტერნი; მიუნხენი2:1; 0:0შტუტგარტი | ჰერტა | V | კიოლნი | ნიურნბერგი1:2; 1:1ვერდერი; ჰამბურგი2:1 | 1,65 | 3,3 | 4,7 | | | | : | 4:2 0:1 | - | - |
| 29.09.01 | 18.30 | 003 | 2:1კიოლნი; ლაუტერნი0:2; 0:1მიუნხენი | ნიურნბერგი | V | ჰამბურგი | ვერდერი0:4; გლადბახი3:3; 1:2კიოლნი | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | | : | - | - | 1:1 0:2 |
| 29.09.01 | 18.30 | 004 | 4:0ჰამბურგი; კიოლნი1:1; 1:2ლაუტერნი | ვერდერი | V | გლადბახი | ზტ. პაული2:2; 3:3ჰამბურგი; ლევერკუზენი0:1 | 1,9 | 3,1 | 3,6 | | | | : | - | - | 1:0 4:1 |
| 29.09.01 | 18.30 | 005 | 2:2გლადბახი; 1:3ლევერკუზენი; შალკე0:2 | ზტ. პაული | V | დორტმუნდი | ლევერკუზენი1:1; 0:1შალკე; ბაიერნი0:2 | 3,6 | 3,1 | 1,9 | | | | : | - | - | - |
| 29.09.01 | 18.30 | 006 | 0:2ფრაიბურგი; დორტმუნდი1:0; 2:0ზტ. პაული | შალკე | V | კოტბუსი | ბაიერნი0:3; 0:0ჰანზა; ვოლფსბურგი3:3 | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | : | 3:0 1:4 | - | - |
| 29.09.01 | 18.30 | 007 | 1:2შტუტგარტი; კოტბუსი0:0; 1:1ფრაიბურგი | ჰანზა | V | მიუნხენი | ვოლფსბურგი2:1; 1:2ჰერტა; ნიურნბერგი1:0 | 2,2 | 3,1 | 3,0 | | | | : | 1:2 0:0 | 0:0 3:4 | 1:2 4:1 |
| 30.09.01 | 20.30 | 008 | 3:0კოტბუსი; ფრაიბურგი1:0; 2:0დორტმუნდი | ბაიერნი | V | შტუტგარტი | ჰანზა2:1; 2:0ვოლფსბურგი; ჰერტა0:0 | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1,9 | 3,3 | 2,5 | - | 1:2 1:0 | 0:1 0:2 | 2:0 2:0 |
| 30.09.01 | 20.30 | 010 | 1:1დორტმუნდი; ზტ. პაული3:1; 1:0გლადბახი | ლევერკუზენი | V | ფრაიბურგი | შალკე2:0; 0:1ბაიერნი; ჰანზა1:1 | 1,45 | 3,6 | 6,5 | 2,1 | 3,0 | 2,3 | - | 1:0 1:3 | 0:0 1:1 | 1:1 1:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კაიზერსლაუტერნი (8) | | | | | 16.12 | 28.10 | | | 3:2 | 02.12 | 2:1 | 2:1 | 4:1 | | | 14.10 | 18.11 | | 7 | 7 | 0 | 0 | 20:7 | 21 | 4 | 0 | 0 | 11:5 | 12 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| 2 | ბაიერნი მიუნხენი (1) | 21.10 | | | | : | 3:0 | | | | 1:0 | | | | 25.11 | 04.11 | | 2:0 | 09.12 | 7 | 5 | 1 | 1 | 12:2 | 16 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| 3 | ბაიერი 1904 ლევერკუზენი (4) | 04.11 | 1:1 | | | 21.10 | | | | | : | | | | 09.12 | 25.11 | | 3:1 | 2:1 | 7 | 4 | 3 | 0 | 14:7 | 15 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| 4 | ბორუსია დორტმუნდი (3) | 25.11 | 0:2 | 1:1 | | 04.11 | | | | | 21.10 | | | | 2:0 | 09.12 | | | 4:0 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:4 | 13 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| 5 | შტუტგარტი (15) | | | | | | 14.10 | | 09.12 | 02.12 | 18.11 | 0:0 | 0:0 | 0:0 | | | 2:1 | 28.10 | | 7 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 12 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| 6 | შალკე 04 გელზენკირხენი (2) | | | 3:3 | 1:0 | | | : | 21.10 | | | 25.11 | 04.11 | 09.12 | | | 3:1 | | | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| 7 | ენერგი კოტბუსი (14) | 09.12 | 0:3 | 14.10 | 28.10 | 25.11 | | | | | | | | | 1:0 | 1:0 | | | 3:3 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:11 | 11 | 2 | 1 | 1 | 5:6 | 7 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| 8 | მიუნხენი 1860 (11) | 0:4 | 14.10 | 28.10 | 18.11 | | | 02.12 | | 16.12 | | | | | 1:0 | 1:1 | | | 2:1 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:11 | 10 | 2 | 1 | 1 | 4:6 | 7 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| 9 | ბორუსია მიონხენგლადბახი (დ) | | 1:0 | 0:1 | 14.10 | | 0:0 | 18.11 | | | 28.10 | | | | | | 09.12 | 2:2 | | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 9 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| 10 | ფრაიბურგი (6) | | | | | | 2:0 | 04.11 | 25.11 | | | 3:0 | 09.12 | 1:3 | | | 1:1 | 14.10 | | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| 11 | ვერდერი ბრემენი (7) | | 18.11 | 02.12 | 16.12 | | | 3:2 | 1:3 | : | | | 1:1 | | 14.10 | | | | 28.10 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 8 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| 12 | კიოლნი (10) | | 28.10 | 18.11 | 02.12 | | | 16.12 | 2:0 | 0:2 | | | | | 1:2 | 2:1 | | | 14.10 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| 13 | ჰერტა ბერლინი (5) | | 02.12 | 16.12 | 0:2 | | | 2:3 | 2:1 | 04.11 | | 21.10 | : | | | | | | 18.11 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | 8 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| 14 | ნიურნბერგი (დ) | 0:2 | | | | 2:4 | 02.12 | | | 21.10 | 2:0 | | | 28.10 | | : | 18.11 | 16.12 | | 7 | 2 | 0 | 5 | 6:11 | 6 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| 15 | ჰამბურგი (13) | 2:3 | | | | 2:0 | 18.11 | | | 3:3 | 16.12 | 0:4 | | 14.10 | | | 28.10 | 02.12 | | 7 | 1 | 2 | 4 | 9:14 | 5 | 1 | 1 | 2 | 7:10 | 4 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 16 | ჰანზა როსტოკი (12) | | 16.12 | 0:3 | 0:2 | | | 0:0 | : | | | 04.11 | 21.10 | 25.11 | | | | | 02.12 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | 5 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 17 | ზტ. პაული ჰამბურგი (დ) | | | | : | | 0:2 | 21.10 | 04.11 | | | 09.12 | 25.11 | 0:0 | | | 0:1 | | | 7 | 0 | 3 | 4 | 4:11 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| 18 | ვოლფსბურგი (9) | : | | | | 0:2 | 16.12 | | | 25.11 | 1:1 | | | | 04.11 | 21.10 | | 1:1 | | 7 | 0 | 3 | 4 | 7:15 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 | 0 | 1 | 3 | 5:11 | 1 |

## გერმანია. მეორე ბუნდესლიგა. 2001-02. VIII ტური

| თარიღი | დრო | № | | | | | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28.09.01 | 22.00 | 012 | 2:3უნტერჰახინგი; ალემანია3:1; 0:5უნიონი | როიტლინგენი | V | ბოხუმი | ბაბელსბერგი4:1; 5:2ალენი; ობერჰაუზენი3:3 | 2,7 | 3,0 | 2,4 | | | | : | - | - | - |
| 28.09.01 | 22.00 | 013 | 0:2ჰანოვერი; მაინცი1:3; 3:3ბოხუმი | ობერჰაუზენი | V | კარლსრუე | არმინია0:1; 0:5ჰანოვერი; აინტრახტი2:3 | 2,4 | 3,0 | 2,7 | | | | : | - | 0:0 3:0 | 1:3 2:0 |
| 28.09.01 | 22.00 | 014 | 1:0კარლსრუე; 2:0აინტრახტი; ზაარბრიუკენი3:1 | არმინია | V | დუისბურგი | აინტრახტი1:1; 0:1ზაარბრიუკენი; შვაინფურტი0:0 | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | : | 1:2 1:1 | - | - |
| 29.09.01 | 18.00 | 015 | 0:3უნიონი; ფიურტი0:0; 0:0დუისბურგი | შვაინფურტი | V | ალემანია | ვალდჰოფი1:0; 1:3როიტლინგენი; ბაბელსბერგი2:2 | 1,85 | 3,1 | 3,8 | | | | - | - | - | - |
| 29.09.01 | 18.00 | 016 | 0:1ალემანია; უნიონი1:1; 1:3ფიურტი | ვალდჰოფი | V | უნტერჰახინგი | როიტლინგენი3:2; 4:1ბაბელსბერგი; ალენი2:3 | 2,2 | 3,0 | 3,1 | | | | - | - | - | - |
| 30.09.01 | 18.00 | 017 | 1:4ბოხუმი; უნტერჰახინგი1:4; 2:2ალემანია | ბაბელსბერგი | V | მაინცი | ალენი5:1; 3:1ობერჰაუზენი; ჰანოვერი2:2 | 2,3 | 3,1 | 2,8 | | | | - | - | - | - |
| 30.09.01 | 18.00 | 018 | 1:1დუისბურგი; არმინია0:2; 3:2კარლსრუე | აინტრახტი | V | ფიურტი | ზაარბრიუკენი3:1; 0:0შვაინფურტი; ვალდჰოფი3:1 | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | - | - | - | - |
| 30.09.01 | 18.00 | 019 | 1:3ფიურტი; დუისბურგი1:0; 1:3არმინია | ზაარბრიუკენი | V | უნიონი | შვაინფურტი3:0; 1:1ვალდჰოფი; როიტლინგენი5:0 | 2,7 | 3,0 | 2,4 | | | | - | - | - | - |
| 01.10.01 | 23.15 | 020 | 1:5მაინცი; ბოხუმი2:5; 3:2უნტერჰახინგი | ალენი | V | ჰანოვერი | ობერჰაუზენი2:0; კარლსრუე5:0; 2:2მაინცი | 2,4 | 3,0 | 2,7 | | | | - | 1:1 2:1 | 1:2 1:3 | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაინცი (14) | | 2:2 | | 16.12 | | 19.11 | | 5:1 | 2:0 | | | 29.10 | 1:0 | | 15.10 | 02.12 | | | 7 | 5 | 1 | 1 | 16:6 | 16 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| 2 | ჰანოვერი (9) | | | 02.12 | | 2:0 | | 16.12 | | | 15.10 | 29.10 | | 5:0 | 3:0 | | | 19.11 | 2:0 | 7 | 4 | 3 | 0 | 16:4 | 15 | 4 | 0 | 0 | 12:0 | 12 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| 3 | არმინია ბილეფელდი (13) | 26.11 | | | 22.10 | | | | | 05.11 | 0:1 | 5:0 | | | | | : | 3:1 | 10.12 | 7 | 5 | 0 | 2 | 14:5 | 15 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| 4 | უნიონი ბერლინი (დ) | | 1:1 | | | 10.12 | 15.10 | | 5:0 | | | | 3:0 | | 26.11 | 5:0 | 29.10 | | | 7 | 4 | 2 | 1 | 20:5 | 14 | 3 | 1 | 0 | 14:1 | 10 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| 5 | ბოხუმი (დ) | 2:1 | | 19.11 | | | | 02.12 | | | 4:1 | 15.10 | | 1:1 | 16.12 | | | 29.10 | 3:3 | 7 | 4 | 2 | 1 | 17:10 | 14 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 8 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| 6 | აინტრახტი მაინის ფრანკფურტი (დ) | | 26.11 | 0:2 | | 05.11 | | : | 10.12 | | | | 2:0 | | 22.10 | 3:1 | | | | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 7 | გროითერ ფიურტი (5) | 10.12 | | 15.10 | 05.11 | | | | | 26.11 | 1:0 | 3:1 | | | | | | 3:1 | 2:2 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:5 | 14 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| 8 | ალენი (6) | | : | 16.12 | | 2:5 | | 1:0 | | | 29.10 | 19.11 | | 22.10 | 1:0 | | | 02.12 | | 7 | 4 | 0 | 3 | 12:18 | 12 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 | 2 | 0 | 2 | 8:13 | 6 |
| 9 | უნტერჰახინგი (დ) | | 1:1 | | 02.12 | 0:2 | 29.10 | | 2:3 | | | | 15.10 | 16.12 | | 3:2 | 19.11 | | | 7 | 3 | 1 | 3 | 12:11 | 10 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| 10 | ბაბელსბერგი (დ) | : | | | 3:2 | | 16.12 | | | 1:4 | | | 02.12 | 05.11 | | 19.11 | 3:1 | | 22.10 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:14 | 10 | 2 | 0 | 1 | 7:7 | 6 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| 11 | ვალდჰოფი მანჰაიმი (4) | 22.10 | | | 1:1 | | 0:0 | | | : | 26.11 | | 16.12 | | | 02.12 | 3:1 | | 05.11 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | 8 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| 12 | შვაინფურტი (დ) | | 05.11 | 1:0 | | 22.10 | | 0:0 | 26.11 | | | | | | : | 10.12 | | 2:1 | | 7 | 2 | 2 | 3 | 3:7 | 8 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |
| 13 | კარლსრუე (დ) | | | 0:1 | 19.11 | | 2:3 | 29.10 | | | | 10.12 | 1:0 | | | | 15.10 | 2:0 | | 7 | 2 | 1 | 4 | 6:11 | 7 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |
| 14 | ალემანია აახენი (10) | 0:2 | | 29.10 | | | | 19.11 | | 10.12 | 2:2 | 1:0 | | 02.12 | | | | 15.10 | 2:1 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| 15 | როიტლინგენი (7) | | 22.10 | 2:3 | | : | | 0:1 | 05.11 | | | | | 26.11 | 3:1 | | | 16.12 | | 7 | 1 | 1 | 5 | 11:19 | 4 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 | 0 | 1 | 3 | 6:14 | 1 |
| 16 | დუისბურგი (11) | | 10.12 | | | 26.11 | 1:1 | 22.10 | 1:4 | | | | 0:0 | | 05.11 | 3:3 | | | | 7 | 0 | 3 | 4 | 7:15 | 3 | 0 | 3 | 1 | 5:8 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |
| 17 | ზაარბრიუკენი (8) | 05.11 | | | : | | 0:2 | | | 22.10 | 10.12 | 1:3 | | | | | 1:0 | | 26.11 | 7 | 1 | 0 | 6 | 5:15 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |
| 18 | როტ ვაისი ობერჰაუზენი (12) | 1:3 | | | 0:3 | | 02.12 | | 15.10 | 0:2 | | | 19.11 | : | | 29.10 | 16.12 | | | 7 | 0 | 2 | 5 | 7:17 | 2 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |

# ინგლისი. პრემიერლიგა. 2001-02. VIII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29.09.01 | 19.00 | 040 | 1:1არსენალი; 1:1ბლექბერნი; საუთჰემპტონი0:1 **ბოლტონი V სანდერლენდი** ჩარლტონი2:2; ტოტენჰემი1:2; 0:0ასტონ ვილა | 1,95 | 3,1 | 3,5 | | | | : | - | | |
| 29.09.01 | 19.00 | 041 | 2:2სანდერლენდი; ლიდსი0:2; ფულემი1:1 **ჩარლტონი V ლესტერი** ფულემი0:0; მიდლსბრო1:2; 3:2დერბი | 1,9 | 3,2 | 3,5 | | | | : | 1:3 2:0 | - | 0:0 1:1 |
| 29.09.01 | 19.00 | 042 | 0:3ლიდსი; ლესტერი2:3; ვესტ ჰემი0:0 **დერბი V არსენალი** ბოლტონი1:1; 3:1ფულემი; 1:1ჩელსი | 3,8 | 3,2 | 1,8 | | | | : | 0:0 1:2 | 1:2 1:2 | 0:0 0:1 |
| 29.09.01 | 19.00 | 043 | 0:1ბლექბერნი; ლივერპული1:3; 1:4მანჩესტერი **ევერტონი V ვესტ ჰემი** ნიუკასლი3:0; 0:2მიდლსბრო; 0:0დერბი | 1,95 | 3,1 | 3,5 | | | | : | 1:1 2:0 | 1:0 4:0 | 1:2 6:0 |
| 29.09.01 | 19.00 | 044 | 2:2ჩელსი; 2:1ლესტერი; ვესტ ჰემი2:0 **მიდლსბრო V საუთჰემპტონი** ასტონ ვილა1:3; 1:0ბოლტონი; 0:2ტოტენჰემი | 1,9 | 3,1 | 3,6 | | | | : | 3:1 0:1 | 3:2 1:1 | 3:3 3:0 |
| 29.09.01 | 19.00 | 045 | 0:1ლივერპული; 2:1სანდერლენდი; ჩელსი2:3 **ტოტენჰემი V მანჩესტერი** იფსვიჩი4:0; 3:4ნიუკასლი; ევერტონი4:1 | 3,8 | 3,2 | 1,8 | | | | : | 0:2 3:1 | 3:1 1:3 | 2:2 1:2 |
| 30.09.01 | 16.00 | 046 | 0:0ლესტერი; არსენალი1:3; 1:1ჩარლტონი **ფულემი V ჩელსი** მიდლსბრო2:2; 3:2ტოტენჰემი; არსენალი1:1 | 2,5 | 3,2 | 2,4 | | | | - | - | - | - |
| 30.09.01 | 18.00 | 047 | 0:3ვესტ ჰემი; მანჩესტერი4:3; 4:1მიდლსბრო **ნიუკასლი V ლივერპული** ტოტენჰემი1:0; 3:1ევერტონი; ასტონ ვილა1:3 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | 2:1 0:3 | 2:2 1:2 | 1:4 2:4 |
| 30.09.01 | 19.00 | 048 | 3:1საუთჰემპტონი; სანდერლენდი0:0; 3:1ლივერპული **ასტონ ვილა V ბლექბერნი** ევერტონი1:0; ბოლტონი1:1; 1:1იფსვიჩი | 1,75 | 3,1 | 4,2 | | | | - | - | - | 1:2 1:3 |
| 30.09.01 | 20.00 | 049 | 0:4მანჩესტერი; ბლექბერნი1:1; 1:1ლესტერი **იფსვიჩი V ლიდსი** დერბი3:0; 2:0ჩარლტონი; ბოლტონი0:0 | 3,2 | 3,1 | 2,1 | | | | - | 2:1 1:2 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლიდს იუნაიტედი (4) | | 0:0 | 19.01 | 30.03 | 24.11 | 20.10 | 02.02 | 16.03 | 06.04 | 22.12 | 03.11 | | 11.05 | 20.04 | 01.01 | 23.02 | 05.03 | 3:0 | 15.12 | 2:0 | 6 | 4 | 2 | 0 | 9:1 | 14 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| 2 | ბოლტონ უონდერერსი (დ) | 26.12 | | 27.04 | 29.01 | 30.03 | 12.01 | 2:1 | 02.03 | : | 13.10 | 20.04 | 03.11 | 1:0 | 24.11 | 09.02 | 15.12 | 06.04 | 16.03 | 29.12 | 0:1 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:4 | 12 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 | 1 | 3 | 0 | 7:2 | 6 |
| 3 | არსენალი ლონდონი (2) | 1:2 | 1:1 | | 24.11 | 08.12 | 26.12 | 12.01 | 20.10 | 30.03 | | 06.04 | 11.05 | 29.12 | 23.02 | 23.03 | 03.11 | 20.04 | 05.03 | 4:0 | 02.02 | 6 | 3 | 2 | 1 | 14:5 | 11 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| 4 | მანჩესტერ იუნაიტედი (1) | 27.10 | 20.10 | 13.04 | | 23.02 | 01.12 | 01.04 | 19.01 | 02.02 | 01.01 | 05.03 | 4:1 | 23.03 | 3:2 | 08.12 | 11.05 | 4:0 | | 17.11 | 22.12 | 6 | 3 | 2 | 1 | 17:10 | 11 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 9 | 0 | 2 | 1 | 6:7 | 2 |
| 5 | ასტონ ვილა ბირმინგემი (8) | 13.04 | 27.10 | 16.03 | 1:1 | | 09.02 | 26.12 | : | 0:0 | 01.04 | 29.12 | 30.01 | 17.11 | 13.10 | 02.03 | | 15.12 | 12.01 | 01.12 | 27.04 | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| 6 | ჩელსი ლონდონი (6) | 30.01 | 22.12 | 1:1 | 20.04 | 11.05 | | 15.12 | 24.11 | 16.03 | 1:1 | 23.02 | 06.04 | 2:2 | 05.03 | 19.01 | | 03.11 | 30.03 | 13.10 | 01.01 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:6 | 9 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| 7 | ლივერპული (3) | 13.10 | 01.01 | 22.12 | 03.11 | 1:3 | 23.03 | | 06.04 | 24.11 | 05.03 | 1:0 | 23.02 | 08.12 | | 2:1 | 30.03 | 11.05 | 20.04 | 30.01 | 19.01 | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| 8 | ბლეკბერნ როვერსი (დ) | 08.12 | 1:1 | 30.01 | 2:2 | 05.03 | 13.04 | 17.11 | | 26.12 | 23.03 | 2:1 | 1:0 | 01.12 | 11.05 | 13.10 | 12.01 | 23.02 | 29.12 | 27.10 | 01.04 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 9 | სანდერლენდი (7) | 17.11 | 05.03 | 27.10 | 13.10 | 01.01 | 08.12 | 13.04 | 1:0 | | 23.02 | 1:2 | 22.12 | 29.01 | 19.01 | 01.12 | 2:2 | 1:0 | 11.05 | 01.04 | 23.03 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:7 | 9 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| 10 | ნიუკასლ იუნაიტედი (11) | 12.01 | 02.02 | 02.03 | 4:3 | 03.11 | 29.12 | : | 15.12 | 1:1 | | 20.10 | 30.03 | 26.12 | 06.04 | 27.04 | 20.04 | 16.03 | 24.11 | | 09.02 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 8 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| 11 | ტოტენჰემ ჰოტსპური ლონდონი (12) | 01.04 | 01.12 | 17.11 | : | 0:0 | 2:3 | 27.04 | 01.01 | 02.03 | 30.01 | | 19.01 | 27.10 | 15.12 | 13.04 | 16.03 | 22.12 | 13.10 | 09.02 | 2:0 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| 12 | ევერტონი ლივერპული (16) | 02.03 | 01.04 | 09.02 | 26.12 | 20.10 | 17.11 | 1:3 | 27.04 | 12.01 | 27.10 | 1:1 | | 2:0 | 16.03 | : | 29.12 | 02.02 | 15.12 | 13.04 | 01.12 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| 13 | მიდლსბრო (14) | 09.02 | 19.01 | 0:4 | 15.12 | 06.04 | 27.04 | 16.03 | 20.04 | 20.10 | 1:4 | 30.03 | 01.01 | | 22.12 | 2:0 | 02.02 | 24.11 | 03.11 | 02.03 | : | 7 | 2 | 1 | 4 | 7:14 | 7 | 1 | 0 | 2 | 3:8 | 3 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| 14 | ფულემი ლონდონი (დ) | 01.12 | 13.04 | 1:3 | 29.12 | 02.02 | : | 02.03 | 09.02 | 2:0 | 17.11 | 23.03 | 08.12 | 12.01 | | 01.04 | 26.12 | 20.10 | 0:0 | 27.04 | 27.10 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| 15 | ვესტ ჰემ იუნაიტედი ლონდონი (15) | 0:0 | 11.05 | 15.12 | 16.03 | | | 29.12 | 02.02 | 20.04 | 3:0 | 24.11 | 05.03 | 23.02 | 03.11 | | 06.04 | 30.03 | 26.12 | 12.01 | 20.10 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| 16 | ჩარლტონ ატლეტიკი ლონდონი (9) | 0:2 | 23.03 | 01.04 | 09.02 | 19.01 | 02.03 | 27.10 | 22.12 | 27.04 | 01.12 | 08.12 | 1:2 | 13.10 | 1:1 | 17.11 | | 01.01 | 29.01 | : | 13.04 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| 17 | იფსვიჩ თაუნი (5) | : | 17.11 | 01.12 | 27.04 | 23.03 | 01.04 | 09.02 | 1:1 | 29.12 | 08.12 | 12.01 | 13.10 | 13.04 | 29.01 | 27.10 | 0:1 | | 3:1 | 26.12 | 02.03 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| 18 | დერბი ქაუნთი (17) | 27.04 | 08.12 | : | 02.03 | 22.12 | 27.10 | 01.12 | 2:1 | 09.02 | 13.04 | 02.02 | 23.03 | 01.04 | 01.01 | 0:0 | 20.10 | 19.01 | | 2:3 | 17.11 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| 19 | ლესტერ სიტი (13) | 23.03 | 0:5 | 01.01 | 06.04 | 20.04 | 02.02 | 20.10 | 30.03 | 03.11 | 19.01 | 11.05 | 24.11 | 1:2 | 0:0 | 22.12 | 05.03 | 1:1 | 23.02 | | 08.12 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:14 | 5 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| 20 | საუთჰემპტონი (10) | 29.12 | 23.02 | 13.10 | 12.01 | 1:3 | 0:2 | 24.10 | 03.11 | 15.12 | 11.05 | 26.12 | 20.04 | 05.03 | 30.03 | 30.01 | 24.11 | | 06.04 | 16.03 | | 5 | 1 | 0 | 4 | 2:9 | 3 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |

# ინგლისი. პირველი დივიზიონი. 2001-02. XI ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28.09.01 | 23.45 | 064 | ქოვენთრი1:1; 0:1კრ. პალასი; 1:3მილუოლი **ბარნსლი V პორტსმუთი** ვესტ ბრომვიჩი1:2; 0:2ქოვენთრი; 0:0უოლსოლი | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 1:0 0:3 | 6:0 0:3 | 2:1 3:1 |
| 29.09.01 | 19.00 | 065 | სტოკპორტი2:4; 0:1ნოტინგემი; 1:1უენსდი **ბრედფორდი V გრიმსბი** ჯილინგემი1:2; 3:3სტოკპორტი; 0:5კრ. პალასი | 1,65 | 3,2 | 5,0 | | | | - | - | - | 0:2 3:0 |
| 29.09.01 | 19.00 | 066 | 3:3ბარნლი; უოტფორდი1:0; უიმბლდონი0:4 **კრიუ V ბირმინგემი** პრესტონი0:1; ბარნლი2:3; 0:3სიტი | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | 0:2 0:2 | 1:5 2:3 | 1:3 0:0 |
| 29.09.01 | 19.00 | 067 | 3:1შეფილდი; ბარნსლი1:0; გრიმსბი5:0 **კრ. პალასი V უენსდი** 1:1როტერჰემი; სიტი2:6; ბრედფორდი1:1 | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | - | 4:1 1:4 | - | - |
| 29.09.01 | 19.00 | 068 | 2:1გრიმსბი; როტერჰემი2:1; ვულვზი2:3 **ჯილინგემი V ქოვენთრი** 1:1ბარნსლი; პორტსმუთი2:0; სიტი4:3 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | - | - | - |
| 29.09.01 | 19.00 | 069 | უოლსოლი3:0; 6:2უენსდი; 3:4ქოვენთრი **სიტი V უიმბლდონი** მილუოლი2:2; 1:0ვესტ ბრომვიჩი; 4:0კრიუ | 1,6 | 3,4 | 5,0 | | | | - | - | - | - |
| 29.09.01 | 23.00 | 247 | 2:0ბევერენი; ლოკერენი3:4; 0:6ვესტერლო **ლომელი** V **ანტვერპენი** გენტი2:3; 0:0აალსტი; ბრიუგე1:2 | 2,0 | 3,2 | 3,3 | | | | - | - | - | - |
| 29.09.01 | 23.00 | 248 | 2:2სენტ ტრუიდენი; გენკი1:1; 2:2მოლენბეკი **ბეერსხოტი** V **ლიერსი** 2:4გენკი; ანდერლეხტი2:0; 0:0ლუვიე | 1,9 | 3,3 | 3,4 | | | | - | 1:1 6:0 | 1:3 1:1 | 0:1 1:1 |
| 30.09.01 | 18.00 | 249 | ლუვიე2:1; 2:1ანტვერპენი; ბევერენი6:1 **ბრიუგე** V **გენკი** ლიერსი4:2; 1:1ბეერსხოტი; 3:3ანდერლეხტი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1,9 | 3,2 | 2,6 | - | 1:0 6:0 | 0:1 2:0 | 2:0 1:1 |
| 30.09.01 | 18.00 | 251 | 3:1ლუვიე; ანტვერპენი0:0; 4:0ბევერენი **აალსტი** V **ანდერლეხტი** 0:2ლიერსი; გენკი3:3; 1:1ბეერსხოტი | 2,9 | 3,2 | 2,2 | | | | - | 0:3 1:5 | 2:3 1:4 | 0:0 1:2 |
| 30.09.01 | 23.00 | 252 | მუსკრონი2:1; 1:1სენტ ტრუიდენი; მოლენბეკი2:1 **სტანდარდი** V **ლოკერენი** 4:3ლომელი; გენტი0:1; 1:2აალსტი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,95 | 3,2 | 2,4 | - | 1:2 1:3 | 3:5 1:2 | 1:4 2:4 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გენტი (5) | | | 28.10 | 13.10 | 15.12 | 4:2 | | | 01.12 | | | | | 4:1 | | | : | 2:1 | 6 | 6 | 0 | 0 | 15:6 | 18 | 3 | 0 | 0 | 10:4 | 9 | 3 | 0 | 0 | 5:2 | 9 |
| 2 | ეენდრახტ აალსტი (16) | 04.11 | | | | | | 02.12 | 14.10 | | : | | 2:1 | 0:0 | | 1:0 | 16.12 | | | 6 | 5 | 1 | 0 | 11:2 | 16 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| 3 | ბრიუგე (2) | | 21.10 | | : | 02.12 | 16.12 | | | 04.11 | | | | | 4:2 | | | 2:1 | 6:1 | 5 | 5 | 0 | 0 | 15:5 | 15 | 3 | 0 | 0 | 12:4 | 9 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| 4 | გენკი (11) | | 10.10 | | | 03.11 | 01.12 | | 4:2 | 20.10 | | | | | 16.12 | | | 5:1 | 5:1 | 6 | 3 | 2 | 1 | 18:11 | 11 | 3 | 0 | 0 | 14:4 | 9 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| 5 | სტანდარდი ლიეჟი (3) | | 08.12 | | | | | | 07.11 | 19.12 | 27.10 | 3:0 | : | 13.10 | | 2:1 | 2:1 | | | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 6 | სენტ ტრუიდენი (13) | | 19.12 | | | 1:1 | | | 08.12 | 4:3 | 24.11 | 2:2 | 13.10 | 27.10 | | : | | | | 6 | 3 | 2 | 1 | 14:11 | 11 | 1 | 2 | 0 | 7:6 | 5 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| 7 | შარლერუა (9) | 08.12 | | 24.11 | 27.10 | 0:0 | 0:3 | | | | | 19.12 | | | 4:2 | | | 13.10 | : | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 10 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| 8 | ლიერსი ლიერი (10) | 20.10 | | 10.10 | | | | 03.11 | | | 2:0 | | 1:1 | 2:1 | | 15.12 | 01.12 | | | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 9 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| 9 | ლომელი (დ) | | 24.11 | | | | | 15.12 | 27.10 | | 13.10 | | 3:4 | : | | 3:2 | 1:0 | | | 6 | 3 | 0 | 3 | 12:16 | 9 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 | 1 | 0 | 2 | 5:10 | 3 |
| 10 | ანდერლეხტი ბრიუსელი (1) | 10.10 | | | 3:3 | | | 20.10 | | | | | 15.12 | 3:0 | | 01.12 | 03.11 | | | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 11 | ჟერმინალ ბეერსხოტი ანტვერპენი (6) | 24.11 | 27.10 | 13.10 | 1:1 | | | | : | 08.12 | 1:1 | | | 15.12 | | | | 8:2 | | 6 | 1 | 4 | 1 | 14:11 | 7 | 1 | 2 | 0 | 10:4 | 5 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| 12 | ლოკერენი (4) | 0:1 | | 0:1 | 19.12 | | | | | | | 03.11 | | | | 20.10 | 10.10 | 08.12 | 24.11 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| 13 | ანტვერპენი (12) | 2:3 | | 1:2 | 3:0 | | | 10.10 | | | | | 01.12 | | | 03.11 | 20.10 | 19.12 | | 6 | 1 | 1 | 4 | 7:10 | 4 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| 14 | ვესტერლო (8) | | 0:1 | | | | 10.10 | | 19.12 | 6:0 | 09.12 | 20.10 | 27.10 | 24.11 | | | | | | 5 | 1 | 0 | 4 | 11:13 | 3 | 1 | 0 | 1 | 6:1 | 3 | 0 | 0 | 3 | 5:12 | 0 |
| 15 | ექსელსიორ მუსკრონი (7) | 0:1 | | 19.12 | 08.12 | | | 0:1 | | | | 10.10 | | | 13.10 | | 4:1 | 24.11 | 28.10 | 6 | 1 | 0 | 5 | 7:9 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |
| 16 | მოლენბეკი ბრიუსელი (დ) | 19.12 | | 08.12 | 24.11 | | 1:2 | 0:1 | | | | 2:2 | | | : | | | 27.10 | 13.10 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:12 | 1 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |
| 17 | ლა ლუვიე (15) | | 1:3 | | | 20.10 | 03.11 | | 0:0 | 10.10 | 1:3 | | | | 01.12 | | | | 16.12 | 6 | 0 | 1 | 5 | 6:21 | 1 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 | 0 | 0 | 3 | 4:15 | 0 |
| 18 | ბევერენი (14) | | 0:4 | | | 10.10 | 21.10 | | 1:1 | 0:2 | 19.12 | 01.12 | | 08.12 | 03.11 | | | | | 6 | 0 | 1 | 5 | 4:20 | 1 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 | 0 | 0 | 3 | 3:13 | 0 |

## ბელგია. მეორე დივიზიონი. 2001-02. VII ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29.09.01 | 22.30 | 254 | რონსი1:4; 2:0დესელი; ინგელმუნსტერი0:3 **გეელი** V **დაინცე** ტიენენი3:0; 2:2სტრომბეეკი; ვირტონი0:2 | 1,75 | 3,1 | 4,2 | | | | - | 4:0 2:0 | - | - |
| 29.09.01 | 22.30 | 255 | 2:2დესელი; ინგელმუნსტერი2:3; 1:2დენდერლეეუ **მონსი** V **რონსი** ფლაანდერენი2:2; 4:1გეელი; ტიენენი0:0 | 1,7 | 3,2 | 4,4 | | | | - | - | - | - |
| 29.09.01 | 23.00 | 256 | 2:0დენდერლეეუ; სერკლი2:0; 0:0რუზელარე **მეხელენი** V **ინგელმუნსტერი** ვიზე3:0; 3:2მონსი; ფლაანდერენი2:1 | 1,7 | 3,2 | 4,4 | | | | - | - | - | - |
| 29.09.01 | 23.00 | 257 | 0:2სერკლი; რუზელარე4:3; ჰეუსდენი1:0 **პატრო** V **დენდერლეეუ** მეხელენი0:2; 1:1ვიზე; მონსი2:1 | 2,4 | 3,0 | 2,7 | | | | - | 1:1 0:5 | 2:4 0:0 | - |
| 29.09.01 | 23.00 | 258 | 0:0რუზელარე; ვირტონი1:1; 0:1პატრო **ჰეუსდენი** V **სტრომბეეკი** 2:1ვირტონი; დაინცე2:2; 0:1ლიეჟი | 1,9 | 3,1 | 3,6 | | | | - | 3:2 0:0 | - | - |
| 29.09.01 | 23.00 | 259 | ჰეუსდენი0:0; 3:4პატრო; მეხელენი0:0 **რუზელარე** V **სერკლი** პატრო2:0; 0:2მეხელენი; ვიზე1:2 | 2,0 | 3,2 | 3,3 | | | | - | 0:1 1:1 | 0:2 1:1 | - |
| 30.09.01 | 18.00 | 260 | 0:3ინგელმუნსტერი; დენდერლეეუ1:1; 2:1სერკლი **ვიზე** V **დესელი** მონსი2:2; 1:1ფლაანდერენი; გეელი0:2 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | - | 1:2 0:1 | - |
| 30.09.01 | 18.00 | 261 | 0:3დაინცე; ლიეჟი1:1; 0:0რონსი **ტიენენი** V **ვირტონი** სტრომბეეკი1:2; 1:1ჰეუსდენი; 2:0დაინცე | 2,2 | 3,1 | 3,0 | | | | - | - | - | - |
| 30.09.01 | 18.00 | 262 | 2:2რონსი; დესელი1:1; 1:2ინგელმუნსტერი **ფლაანდერენი** V **ლიეჟი** 1:1ტიენენი; სტრომბეეკი1:0; 0:1ვირტონი | 2,0 | 3,1 | 3,4 | | | | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეხელენი (დ) | | : | | | | 13.10 | 2:0 | | | | | | | | 1:0 | 27.10 | 2:0 | | 6 | 5 | 1 | 0 | 10:0 | 16 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| 2 | ინგელმუნსტერი (6) | | | | | | | 03.11 | | | | | 3:0 | 2:1 | | 07.10 | | 21.10 | 3:0 | 6 | 5 | 0 | 1 | 14:4 | 15 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| 3 | დესელ სპორტი (12) | 07.10 | | | 2:2 | 5:2 | | | 21.10 | 03.11 | | | | | 0:2 | | | | | 6 | 3 | 2 | 1 | 14:8 | 11 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| 4 | მონსი (4) | | 2:3 | | | 27.10 | : | | | | | | | | | 3:0 | 13.10 | 1:0 | | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 5 | სტრომბეეკი (10) | | 1:0 | | | | 3:1 | | | | | | 03.11 | 21.10 | | | 2:2 | | 07.10 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:10 | 10 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| 6 | რონსი (დ) | | | | | | | | | | | 1:0 | 07.10 | 2:2 | | 21.10 | | 03.11 | 0:0 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| 7 | ჰეუსდენ ზოლდერი (11) | | | | | : | | | | | 2:1 | 1:1 | | | 27.10 | | 4:1 | | 13.10 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 | 0 | 1 | 2 | 0:3 | 1 |
| 8 | რუზელარე (8) | 0:0 | 14.10 | | 0:1 | | 28.10 | 0:0 | | | | | | | | | | : | | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 | 0 | 2 | 1 | 0:1 | 2 | 2 | 0 | 1 | 8:7 | 6 |
| 9 | დენდერლეეუ (9) | 0:2 | 28.10 | | 2:1 | | | 21.10 | 07.10 | | | | | | 1:0 | | | | | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| 10 | ლიეჟი (16) | 21.10 | | | 07.10 | 1:0 | | | 03.11 | | | | | | : | | 2:1 | | | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| 11 | ექსელსიორ ვირტონი (დ) | 03.11 | | 0:2 | 21.10 | 1:2 | | | | | 1:0 | | | | 07.10 | | | | | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| 12 | ვიზე (დ) | 0:3 | | : | | | | | 2:3 | 1:1 | 14.10 | 28.10 | | | | | | | | 6 | 2 | 1 | 3 | 9:13 | 7 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 6 |
| 13 | ზუიდ ვესტ ფლაანდერენი (დ) | | | 1:1 | | | | | 1:2 | 2:1 | : | 14.10 | | | | | | | 28.10 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| 14 | ვერბროედერინგ გეელი (5) | | 0:3 | | | 13.10 | 1:4 | | | | | | | 03.11 | | | : | 2:0 | | 5 | 2 | 0 | 3 | 5:8 | 6 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| 15 | პატრო მაასმეხელენი (14) | | | 13.10 | | | | 1:0 | 4:3 | : | 27.10 | | 2:4 | | | | | | | 6 | 2 | 0 | 4 | 7:13 | 6 | 2 | 0 | 1 | 7:7 | 6 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |
| 16 | დაინცე (15) | | | | | | 0:0 | | | | | 0:2 | 21.10 | 07.10 | | 03.11 | | | 3:0 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | 5 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| 17 | სერკლ ბრიუგე (7) | | | 27.10 | | | | 07.10 | | 13.10 | | | 1:2 | 0:0 | | 2:0 | | | | 6 | 1 | 1 | 4 | 3:7 | 4 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |
| 18 | ტიენენი (13) | | | 1:4 | 03.11 | | | | | 2:2 | 1:1 | : | | | 21.10 | | | | | 6 | 0 | 3 | 3 | 4:13 | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |

# იქ, სადაც შოთაა, პირველი კაცი მოლსია, მაგრამ... ყველაფერს თავისი დრო აქვს



*ორ კვირაზე მეტია, რაც კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ შოთა არველაძე ამსტერდამიდან გლაზგოში გადაბარგდა, მაგრამ რეინჯერსელი ქართველის დებიუტი ჯერ არ შემდგარა...*

*„გლაზგო რეინჯერსი“ დღეს მახაჩყალის „ანჟის“ ვარშავაში გაეჯიბრება უეფას თასის მეორე ეტაპზე გასასვლელად. შოთა გლაზგოში დარჩა. მას ჯერ არა აქვს უფლება, უეფას თასის ამ გათამაშებაში „რეინჯერსში“ ითამაშოს, რადგან ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე „აიაქსის“ ღირსებას იცავდა. თანაც ტრავმაც ბოლომდე არ მოუშუშებია...*

*გლაზგოელ ჩაფართა ქართველ შემტევს ტელეფონით დავუკავშირდით და, ცხადია, ჯერ მის ჯანმრთელობაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...*

— გახსოვთ ალბათ, ნაკრების უნგრეთთან თამაშის დროს ტრავმა რომ მივიღე. მარცხენა ფეხის უკანა კუნთი დავიზიანე, რაც ერთობ გამიმიზეზდა, ვერა და ვერ მოვირჩინე. მხოლოდ ორი დღეა, რაც ვარჯიში დავიწყე.

**— ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობ?**

— არა, გუნდთან ერთად. იმავდროულად პროცედურებსაც ვიტარებ. გუნდთან კი ვვარჯიშობ, მაგრამ სრული დატვირთვით მაინც ვერა. თავს ასე, 80 პროცენტით თუ ვიტვირთავ, ვგრძნობ, რომ ჯერ მთლად გამოჯანმრთელებული არა ვარ. არ მინდა, გავრისკო და ვარჯიშებზე სრულად ვერ ვიხარჯები. ალბათ, ათი დღე კიდევ დამჭირდება, საბოლოოდ რომ ჩავდგე მწყობრში.

**— „რეინჯერსში“ 24-ნომრიანი მაისურა გერგო. „აიაქსშიც“ თავიდან ეს ნომერი მოგცეს და ახლაც ამიტომ მოითხოვე?**

— უბრალოდ, 24-ზე დაბალი ყველა ნომერი დაკავებული იყო, მაღალ ნომერს კი ისევ 24 ვარჩიე.

**— როგორია პირველი შთაბეჭდილებები „რეინჯერსსა“ და გლაზგოზე?**

— რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ „რეინჯერსი“ დიდი გუნდია, მაგრამ ჩემი თვალით ნანახმა კიდევ უფრო ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან მოვიხიბლე ქალაქითაც. გლაზგო წმინდა წყლის საფეხბურთო ქალაქია, თამაშის დღეს მის ქუჩებში რომ გახვალთ, მყისვე მიხვდებით, რომ საფეხბურთო მატჩი ტარდება — გლაზგო ხომ ორი ტრადიციული გუნდის ქალაქია.

ოღონდ ეგაა, რომ ჯერ სასტუმროში ვცხოვრობ და ოჯახს მოწყვეტილი ვარ, ოქტომბრის ბოლოსთვის კი ჩემთვის გამოყოფილ ბინას მოაწესრიგებენ და ცოლ-შვილსაც აქ ჩამოვიყვან.

**— უშუალოდ ფეხბურთზეც ვთქვათ. გუნდის ჰოლანდიელ დამრიგებელ დიკ ადვოკაატთან ალბათ გექნებოდა პირადი საუბარი — თავდასხმაში, „რეინჯერსში“ საკმაოდ დიდი კონკურენციაა და ძირითადში ადგილის მოპოვება რთული იქნება...**

— ადვოკაატთან მართლაც ვისაუბრე პირადად. მან მითხრა, ახლა მთავარია ტრავმა ბოლომდე მოირჩინო, თამაში დაიწყო და ყველაფერი მერე გამოჩნდება, წინ არაერთი ბრძოლა გველისო. ასე რომ, ყველაფერს თავისი დრო აქვს...

**— ისე, ვინ ითვლება ამ დროისთვის „რეინჯერსის“ ნომერ პირველ ფორვარდად და საერთოდ, ვის აქვს ყველაზე დიდი წონა გუნდში და გასახდელებშიც?**

— შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მიხაელ მოლსია. მართალია, ახლა ტორე ანდრე ფლო დაწინაურდა, ბოლო სამ თამაშში ხუთი გოლი გაიტანა, მაგრამ პირველი კაცი მაინც მოლსია. ის ტრავმირებული გახლდათ, თუმც უკვე მომჯობინდა და ალბათ უახლოეს მატჩებში ითამაშებს.

**— გამოდის, რომ კლაუდიო კანიჯას პოზიციები არცთუ ისე მყარია.**

— კანიჯა მაინცდამაინც ვერ ბრწყინავს. „რეინჯერსი“ ხანდახან სამი ფორვარდით თამაშობს, უფრო ხშირად ორით. ფლოს მეწყვილე თავდასხმაში რონალდ დე ბურია.

**— დე ბურთან „აიაქსშიც“ გითამაშია და ახლა ალბათ ყველაზე უფრო მასთან მეგობრობ.**

— ასეა, თავისუფალ დროს უმეტესად დე ბურთან ვარ, ხან ქალაქში ვსეირნობთ, ხან ერთად ვსადილობთ. რაც შეეხება ანდრეი კანჩელსკის, ის ძალიან ყურადღებიანია, გუნდში მისვლისთანავე კარგი ურთიერთობა დავამყარეთ ერთმანეთთან.

**— „რეინჯერსს“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე ხელი მოეცარა და ოდენ უეფას თასზე თამაშს დასჯერდა. გუნდის მთავარი მიზანი ალბათ შოტლანდიის ჩემპიონობა და „სელტიკის“ უკან მოტოვება იქნება.**

— არა, ჩემპიონობის გარდა უეფას თასს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. „სელტიკის“ დაჯაბნა ერთია, საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოსვლაც „რეინჯერსისთვის“ ბევრს ნიშნავს.

**დავით თაგართქილაძე**

---

საქართველოს 13 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
8 ტური

# ფოთიდან ბოლნისამდე მსაჯი იყო შუაში

**გუშინ** ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს გვარიანი საფიქრალ-სანერვიულო ჰქონდა. ლავსატეხი მერვე ტურში არბიტრთა გარჯის შეფასება იყო, რაც ერთობ გაუჭირდათ მერვე ტურის ინსპექტორებს.

ლანჩხუთში ავთანდილ ორდინიძეს ანამუსებდნენ ბათუმელები, თამაში დროზე ადრე რად დაამთავრეო.

ფოთში, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „მეტალურგის“ თავკაცი ზაურ ჩუბინიძე იყო აღშფოთებული — ბუიშვილმა საერთოდ არ უნდა იმსაჯოსო.

წყალტუბოში სერგო კვარაცხელია სტუმართა სასარგებლოდ შემცდარა და მსაჯ-ინსპექტორსაც საშინელი დღე აღგათ თურმე. კიდევ კარგი, ყველაფერი დიდ ჩხუბში არ გადაიზარდა, თორემ...

ქუთაისიდან აშკარად გახარებული წამოვიდა „ვიტ ჯორჯია“, თუმც მსაჯებზე უკმაყოფილებას ისინიც გამოთქვამდნენ.

თბილისში მეშკოვის დანიშნულ პენალტს აპროტესტებდა მთელი ავჭალა, ხოლო ბოლნისში დოგრაშვილის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გახდა სალაპარაკო.

ორდინიძე, ბუიშვილი, კვარაცხელია, მალაღურაძე, მეშკოვი და დოგრაშვილი კი არა, კოლინა, პული, კრუგი და ნიეტო ცდებიან. მსაჯის შეცდომა არავის უკვირს, რადგან ისინიც ადამიანები არიან, მაგრამ...

ცუდი და მიუღებელი ის უფროა, ჩვენებური მსაჯები შეცდომის გამოსწორებას მეორე შეცდომით რომ ცდილობენ. დაინიშნა მასპინძლის კარში პენალტი და აუცილებელი არ არის, ვითარების განსამუხტად სტუმრის საზიანოდ გამოიგონო წესების დარღვევა.

ბოლო სიტყვა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტზე იყოს, რადგანაც ამდენ მომჩივანსა თუ უკმაყოფილოს მართალი პასუხი სჭირდება.

ქუთაისის „ტორპედო“ ისევ დაუმარცხებელია, მაგრამ პირველი ქულები დაკარგეს რაიონისპირელებმა. ჩემპიონთა გამჩერებელი კი, რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯია“ აღმოჩნდა. ვეტერინარებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას, არ წააგეს ქუთაისში.

მასპინძლებმა ვერ გაიტანეს თერთმეტმეტრიანი, ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, თუმც სტუმართა მეკარე ყოჩაღობდა. მერე კი დაწინაურდნენ, მაგრამ ვიტელმა აღამიამ სიხარული ოთხ წუთში გაუქრო „ტორპედოს“.

აღრინდელთან შედარებით შესუსტებული შემადგენლობა ჰყავს „ვიტ ჯორჯიას“. „ტორპედოზე“ მატჩის დასაწყისშივე კაპიტანი და ლიდერი გოგობერიშვილი დაშავდა, მაგრამ სტუმრებმა ქულა მაინც დაინარჩუნეს.

გუშინწინ რევაზ ძოძუაშვილს ზესტაფონში დაშავებული პარამონოვი არ ჰყავდა. დიმიტრი ვაკეში ფეხშეხვეული და ყავარჯნიანი უცქერდა თავისი ყოფილი გუნდის თამაშს. „ტორპედოს“ რიგებში არ იყო იონანიძე, რომელსაც თითქოს არაფერი აწუხებს.

ვერ გეტყვით, რა და რამდენი, მაგრამ რაიონისპირელებს პრობლემები რომ გაუჩნდათ, ფაქტია. ამაზე ღიად თუ ფარულად ბევრს ლაპარაკობენ. „ტორპედო“ ჩემპიონია, ჰყავს ძლიერი შემადგენლობა და სატურნირო ცხრილის მეფეცაა, მაგრამ...

კონკურენტის წაფორხილებით „ლოკომოტივმა“ ისარგებლა და ჩემპიონთან სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა. ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდათ ვაკელებს, მაგრამ „მერანის“ გატეხვა პენალტითღა მოახერხეს.

შეგვიძლია, თამამად განვაცხადოთ, რომ კვეკვესკირს იმ სადავო მომენტში ხელით განზრახ არ უთამაშია, ჯანაშიას დარტყმული და მერანელის ფეხიდან ასხლეტილი მოედნიდან ახტა და სტუმარს ხელზე მოხვდა. დანარჩენი სპეციალისტებისთვის მიგვინდვია. პენალტის შემდეგ კი რკინიგზელთა გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა და აკი დიდი ანგარიშითაც დამარცხდა „მერანი“.

გუშინ მთელი წყალტუბო და ქუთაისი „დინამოს“ კარში არდანიშნულ პენალტზე საუბრობდა. თავად სტუმართა მეკარე ირაკლი ზოიძეს ულიარებია, თერთმეტმეტრიანი დასანიშნი იყოო. ტრადიციულად გაუჭირდა წყალტუბოში გამარჯვება ათგზის ჩემპიონს. ნოდიას სამწყსომ იმერეთიდან სამი ქულა კი წამოიღო, მაგრამ ისეთი, ერის თუ ბერის გასარჩევი რომ გახდა.

როგორც ყოველთვის, ბობოქარი იყო ბოლნისი. როგორც ყოველთვის, დასცხათ მსაჯებს, მაგრამ მშვიდობით დასრულდა ყველაფერი. რუსთაველთა ახალდანიშნულმა მწვრთნელმა თენგიზ კაციამ კი ქულიანი დებიუტი მოიწყო. კაციასთვის ბოლნისი ფეხბედნიერი ალაგია. თსუ-ს თავკაცობისას „სიონი“ დაუმარცხებია კიდეც.

„ბათუმმა“ რაც 90 წუთში ვერ მოახერხა, იმის გაჩარხვა მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში მოინდომა და დარჩა მხოლოდ ქულის ამარა.

მერამდენედ ხდება, „კოლხეთი“ იოლი გამარჯვების იმედით გადის სათამაშოდ და მერე ქულაც სანატრელი აქვს. სწორედ ამაზე ჩიოდა სოსო ფილიაც, „მეტალურგი“ კი ნელ-ნელა უხერხულ მეტოქედ ყალიბდება.

4 ფრე და ერთი მოგება, ასეთია სტუმრის მონაგარი. მასპინძელს ერთი მოგება ერგო, თუმც ბურთების უკეთესი სხვაობა შეინარჩუნა. სტუმარმა სულ ხუთი გაიტანა, ორით ნაკლები, ვიდრე მასპინძელმა.

შემდეგ ტურში „დინამო“ — „ტორპედოა“, ტურის კი არა, ალბათ, პირველი წრის ცენტრალური მატჩი.

**ბაჩუკა ძმანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - აშვეთია | ტორპედო |
| 7 - ბობოხიძე | დინამო |
| 6 - წიფწიშაძე | კოლხეთი |
| 5 - მაჭუტაძე | ბათუმი |
| დათვაძე | ლოკომოტივი |
| 4 - გოგობერიშვილი | ვიტ ჯორჯია |



ლოკომოტივი — მერანი. ავჭალელი ზაზა კვეკვესკირი (№17) დავით ჰიჭვეიშვილს (შუაში) მუხლებში ჩაუვარდა

სიმბოლური ნაკრები




| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 8 | 7 | 1 | 0 | 20:2 | 18 | 22 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 9 |
| 2 ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 18:6 | 12 | 18 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 3 | 6 |
| 3 მერანი | 8 | 5 | 1 | 2 | 11:11 | 0 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:10 | -5 | 7 |
| 4 ბათუმი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:5 | 6 | 14 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 12 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:3 | -2 | 2 |
| 5 დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 18:8 | 10 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 13:2 | 11 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 |
| 6 კოლხეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:13 | 4 | 13 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 11 | 13 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 0 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 4 |
| 8 სიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:16 | -11 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:9 | -4 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | -7 | 1 |
| 9 სამგურალი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | -7 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | -10 | 0 |
| 10 გურია | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | -5 | 6 | 5 | 0 | 3 | 2 | 1:4 | -3 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 |
| 11 გორდა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:18 | -11 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 2 |
| 12 მეტალურგი | 8 | 0 | 2 | 6 | 3:20 | -17 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:13 | -10 | 2 |

# NHL სეზონის წინ

## ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონი

### ბოსტონ ბრიუინსი

**მოვიდნენ: ფორვარდები მარტინ ლაპოინტი, რობ ზამუნერი; მცველი შონ ოდონელი**
**წავიდნენ: მცველები ერიკ უეინრიჩი, დერენ ვან იმპი**

სადღეისოდ ბოსტონის ქომაგებსა და მესვეურებს ყველაზე მეტად ის აწუხებთ, რომ გუნდის ლიდერისა და კაპიტნის — ჯეისონ ელისონის ხანგრძლივი გაფიცვა არასახარბიელო შედეგს გამოიღებს. ბოლო ინფორმაციით, მხარეები კიდევ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს. თავად ელისონი 3 წელიწადში დაახლოებით 9 მილიონს ითხოვს (ცნობისთვის: პიტსბურგელმა მარტინ სტრაკამ, რომელმაც წინა სეზონში ასევე 95 ქულა მოაგროვა, ორწლიანი და 7,2-მილიონიანი კონტრაქტი განაახლა), გუნდის ხელმძღვანელობა კი მხოლოდ 6 მილიონზეა ყაბულს. დასანანია, თუ ელისონის გაფიცვა უზომოდ გაჭიანურდება, ვინაიდან დღეისთვის „დათვები" საკმაოდ მყარ და ბევრისშემძლე ძალას წარმოადგენს. ბოსტონელები ზაფხულში ძალიან გაძლიერდნენ, ხოლო ახალგაზრდა ჯო ტორნტონმა წინა სეზონში იმხელა პროგრესს მიაღწია, რომ მოსალოდნელია, წლეულს ელიტაშიც შეაღწიოს. „დათვებს" სუსტი რგოლიც აქვთ — რეი ბურკის წასვლის შემდეგ თავდასხმას ერთი მცველიც ვერ ეხმარება ღირსეულად.

წლეულს გუნდს ახალი თავკაცი, რობი ფტორეკი გაუძღვება. მან მაიკ კინენი შეცვალა.

### ბუფალო სეიბრსი

**მოვიდნენ: მეკარე ბობ ესენცა; ფორვარდები ტიმ კონოლი, ვიაჩესლავ კოზლოვი**
**წავიდნენ: მეკარე დომინიკ ჰაშეკი; ფორვარდები მაიკ პეკა, სტივ ჰაინცი, დონალდ ოდეტი, დეივ ანდრეიჩუკი, დუგ გილმორი**

ზემოთ ჩამოთვლილი სახელების გადაკითხვაც საკმარისია, რომ საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა იგრძნონ, რაოდენ რთული სეზონი ელის ბუფალოს. ბოლო წლებში შევეჩვიეთ იმას, რომ გუნდი პლეი ოფის ერთ-ორ რაუნდს აუცილებლად გაივლის. შეძლებს თუ არა ამას ბუფალო წლეულს, ეს ძალიან ძნელი სათქმელია. ყველაზე დიდი დანაკლისი, რა თქმა უნდა, დომინიკ ჰაშეკია. საქმე მხოლოდ იმ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში როდია, რომელსაც „დომინატორი" ახდენდა თანაგუნდელებზე. თვით გუნდის თამაში მთლიანად ჰაშეკზე იყო აგებული. საიმედო კონტრშეტევებზე დაფუძნებული ტაქტიკაც ამიტომ ამართლებდა. გარდა ამისა, გუნდს აღარ შერჩა გამოცდილი ფორვარდები, განსაკუთრებით სუსტი კი პლეიმეიკერის პოზიციაა, რომელიც დუგ გილმორის წასვლის შემდეგ პრაქტიკულად ვაკანტურია. თუმც მოდით, უფრო იმედის თვალით შევხედოთ „ხმლებს". გუნდს ბევრი პერსპექტიული ჰოკეისტი ჰყავს, რომელთაც სწორედ წლეულს მართებთ მათზე გაცემული ავანსების გამართლება. განსაკუთრებით ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჰაშეკის მემკვიდრეებზე — მარტინ ბირონსა და ბობ ესენცაზე.

### მონრეალ კანადიენსი

**მოვიდნენ: ფორვარდები იანიკ პერო, ჯო ჟიუნო; მცველი სტეფან ქინტალი**
**წავიდნენ: არავინ**

როგორც ჩანს, მონრეალში, სადაც ჰოკეი განსაკუთრებით ფასობს, შეცდომებს მალე ივიწყებენ. უკვე რამდენჯერ ითქვა, რომ დღევანდელ ჰოკეიში ტანმორჩილ და ფიზიკურად არცთუ ძლიერ ჰოკეისტებს ძალიან უჭირთ, მაგრამ გუნდის მესვეურები ამას აინუნშიც არ აგდებენ. მათი წამყვანი მოთამაშეების უმრავლესობა (მათ შორის ახალშეძენილებიც) სწორედ ზემოხსენებულ კატეგორიას განეკუთვნებიან. ასე რომ, გამორიცხული არ არის, გუნდმა ეს სეზონიც ჩააგდოს. კანადელთა ქომაგების მთავარი ყურადღება საკუ კოივუსკენ იქნება მიპყრობილი. სამწუხაროდ, ფინელს ლიმფური ჯირკვლების სიმსივნე აღმოუჩინეს (სწორედ ის, რაც ლემიეს აწუხებდა) და დღესდღეობით მონრეალის კაპიტანი ქიმიოთერაპიის კურსს გადის. ასე რომ, ჰოკეიზე ლაპარაკი ზედმეტია. ძალიან დასანანია, რომ ეს უაღრესად ტექნიკური ფორვარდი ტრავმებმაც გააწამა და ავადმყოფობამაც, მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ ტანმორჩილი კოივუს მაგალითი ასახავს ყველაზე ნათლად მონრეალის ზემოხსენებულ პრობლემებს.

### ტორონტო მეიფლ ლივსი

**მოვიდნენ: ფორვარდები ალექსანდრ მოგილნი, რობერტ რაიხელი, ტრევორ გრინი, მიქაელ რენგბერგი; მცველი ანდერს ერიქსონი**
**წავიდნენ: ფორვარდები სერგეი ბერეზინი, იგორ კოროლიოვი, სტივ ტომასი, იანიკ პერო; მცველი დანიილ მარკოვი**

ჰოკეის კიდევ ერთი მექის, ტორონტოს მაგალითი ნათლად მიუთითებს, როგორ უნდა აშენდეს გუნდი თანამედროვე ნჰლ-ში. ბოლო წლებში ტორონტომ დაიმკვიდრა ადგილი ლიგის ელიტაში და აღმოსავლეთში მხოლოდ ნიუ ჯერსი ჯაბნის (თითქოს განგებ ბოლო ორ პლეი ოფში სწორედ მას შეეჯახა), მაგრამ წლეულს „ნეკერჩხლის ფოთლებს" თავის პოზიციაზე გამაგრება ძალიან გაუჭირდება. დანიილ მარკოვის გუნდიდან წასვლამ შესაძლოა, კიდევ უფრო შეარბილოს მისი დაცვა, რომელსაც ისედაც აკლია სიხისტე. ერთობ საეჭვოა, შეძლებენ თუ არა სათანადო დონეზე თამაშს რობერტ რაიხელი და მიქაელ რენბერგი, რომლებიც ნჰლ-ში ორწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდებიან. ალექსანდრ მოგილნიც ხომ ადამიანი-გამოცანაა და რამდენად აღიდგენს იგი საგოლე ინტუიციას ახალ გუნდში, არავინ იცის. არადა, სწორედ ამ სამეულს დაეკისრება გუნდის ლიდერ მატს სუნდინისთვის დახმარების გაწევა. ყველაზე სერიოზული პრობლემა კი ტორონტოს, ალბათ, სეზონის ბოლოს გაუჩნდება. გუნდის ნახევარს, მეკარე კერტის ჯოზეფს, კონტრაქტის ვადა უთავდება და თუ ჩემპიონატის მსვლელობისას მის მომავალს ნათელი არ მოეფინა, მოსალოდნელია, „კუჯომ" გაცვლა მოითხოვოს.

### ოტავა სენატორსი

**მოვიდნენ: ფორვარდები ჯეისონ სპეცა, ბილ მაკოლტი; მცველი ზდენო ხარა**
**წავიდნენ: ფორვარდები: ალექსეი იაშინი, მაიკ სილინჯერი; მცველი ჯეისონ იორკი, მეკარე ტომ ბარასო**

ოტავადან წასულების სია, რომელიც ისედაც საკმაოდ შთამბეჭდავია, შეიძლება, კიდევ გაიზარდოს. ამ დღეებში გუნდმა ერთი წლით გაუგრძელა კონტრაქტი კაპიტან დანიელ ალფრედსონს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვადასხვა წყაროების ინფორმაციით, იგი სულ მალე დატოვებს ოტავას. ერთბაშად სამ გუნდს, მათ შორის რეინჯერსს, სურს მისი შეძენა და ოტავას ხელმძღვანელებიც არ აპირებენ ჰოკეისტის დაკავებას. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ „სენატორთა" რიგებში წლეულს პირველ პლანზე ახალი ჰოკეისტები უნდა გამოვიდნენ. განსაკუთრებით ეს თავდასხმას ეხება, სადაც გარდა ჰოსა — ბონკი — არვედსონისა, არც ერთი შეთამაშებული სამეული არ დარჩა. ვნახოთ, რისი მაქნისი იქნება უნიჭიერესი 18 წლის ჯეისონ სპეცა, რომელიც სწორედ ალექსეი იაშინის მემკვიდრედ ეგულება თავკაცობას.

ჟაკ მარტენის ბიჭებს ჩინებულად ეხერხებათ გუნდური თამაში და, წესით, პლეი ოფში უნდა გავიდნენ. ვფიქრობთ, ოტავას ნებისმიერი ქომაგი კმაყოფილი დარჩება, თუ გუნდი ჩემპიონატში შარშანდელ 109 ქულაზე ნაკლებს მოიხვეჭს, სამაგიეროდ კი პლეი ოფში პირველი რაუნდის კომპლექსისგან განიკურნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასანიძე კვლავ მსოფლიოს რეკორდსმენია

## ჩახოიანს კონიაკის სმის ხალისი დაუკარგეს



სერგო ჩახოიანს სარეკორდო სიხარული ჩაუმწარეს

**ავტორი** აზრისა, რომ სომხური კონიაკი მსოფლიოში ყველას სჯობია, საძალოსნო ატაცში მსოფლიოს რეკორდსმენი აღარ არის. სერგო ჩახოიანის რეკორდსმენობამ ერთი თვეც ვერ გასტანა, რადგან ავსტრალიის მოქალაქე სომეხმა ძალოსნობის 85 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის რეკორდი აგვისტოს ბოლოს, ავსტრალიურ ბრისბენში გამართულ კეთილი ნების თამაშებზე დაამყარა.

ბრისბენშივე ეწეოდა შტანგას ნახსენები კატეგორიის მოქმედი მსოფლიოს რეკორდსმენი გიორგი ასანიძე, რომელმაც 170 კილოგრამი აიტაცა, 195 აკრა და მესამე ადგილზე გავიდა, ამ დროს კი ჩახოიანმა ატაცში 181.5 კილოგრამი უჩვენა და ასანიძის მსოფლიოს რეკორდს ნახევარი კილო მიამატა, მერე 210 აკრა და კეთილი ნების თამაშები მოიგო.

ახლა კი ირკვევა, რომ 31 წლის სომეხისთვის (იგი ატლანტის ოლიმპიადაზე სომხეთის სახელით იყო, მომდევნო წელს კი ავსტრალიის მოქალაქე გახდა და სიდნეის ოლიმპიადაზე მე-6 ადგილი დაიკავა) რეკორდი და საპრიზო 31 000 დოლარი არაში ყოფილა. ავსტრალიის ძალოსნობის ფედერაციის (ავფ) ცნობით, ჩახოიანის შარდში თურმე დოპინგი ჩანს, კერძოდ სტანოზოლოლი. ეს კი ნიშნავს რეკორდის ჩამორთმევას და 2 წლიან დისკვალიფიკაციას. ჩახოიანს ბრისბენში მოპოვებული მედლის და ფულის დაბრუნებაც მოუწევს, თუმცა ძალოსანს მიზერული შანსები ჯერ კიდევ შერჩა. კერძოდ, შეუძლია აპელაცია შეიტანოს და B ტესტის ჩატარება მოითხოვოს, მაგრამ ამისგან ძნელად რომ რამე გამოვიდეს, დადებითი A ტესტის შემდეგ B ტესტით გამართლებული სპორტსმენი უდიდესი იშვიათობაა.

ჩახოიანის მხარეს მაინცდამაინც არც ავსტრალიის ძალოსნობის ფედერაცია იჭერს „მოვლენათა ამგვარმა მსვლელობამ გული დაგვწყვიტა — გამოაცხადა ავფ-ს პრეზიდენტმა სემ კოფამ — მაგრამ არასოდეს გვავიწყდება ჩვენი უმთავრესი მისია სპორტში — ავსტრალიასა და მთელ მსოფლიოში დოპინგს შეუბრალებლად უნდა ვებრძოლოთ."

ჩვენთვის მთავარი ამ ისტორიაში ის გახლავთ, რომ ჩახოიანის მსოფლიო რეკორდი გაუქმებულია და რეკორდსმენი ხელახლა გახდა გიორგი ასანიძე, ატაცის შედეგით — 181 კილოგრამი.

**დავით გულუა**



# ფაჩულიამ და ბოისამ ადგილები დაიჯავშნეს

**თითებზე** ჩამოსათვლელი დღეები დარჩა და ევროპის საკალათბურთო დარბაზები მთელი სიმძლავრით ახმაურდება. იტალიაში უკვე დაიწყო, სლოვენიაში ეროვნული ჩემპიონატი 29 სექტემბრიდან გახურდება. შემდეგ თურქეთი, ესპანეთი, საფრანგეთი და კალათბურთის ევროპელ ქომაგთ მოსაწყენად სადღა ეცლებათ.

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომის გამო ქართულ კალათბურთში ყველაფერი თავდაყირა კი დადგა, მაგრამ ევროპას არა მგონია, ჩამოვრჩეთ და ეროვნული ჩემპიონატი საქართველოსაც ეწვევა. თუმცა საქომაგო ქართველებს იგივ ევროპაშიც არ გვაკლია. თურქეთი, სლოვენია, იტალია, პორტუგალია — ამ ქვეყნების პირველობებში ქართველებსაც უდევთ წილი.

სანამ ნიკა ცქიტიშვილი იტალიურ „ბენეტონში" მოეწყობოდეს, ზაზა ფაჩულიასა და ვლადიმერ ბოისას ამ მხრივ თავ-თავიანთ კლუბებში საათივით აუწყვიათ საქმე. ზაზა შარშანაც იყო თურქეთის ჩემპიონის ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მისი წლევანდელი ყოფა სტამბოლის „ულქერში" უწინდელისგან ცა და დედამიწასავით განსხვავდება. „სარბიელის" მკითხველისთვის უცნობი არ უნდა იყოს „ულქერის" მიერ ფაჩულიასთან თაღლითურად გაფორმებული, თითქმის კაბალური კონტრაქტის შესახებ, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ზაზამ ახალ, ცივილურ კონტრაქტთან ერთად გუნდის ხელმძღვანელობის პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა. თუ შარშან ზაზა მოედანზე გასახურებლად საკმარისი დროითაც არ შეჰყავდათ, კონტრაქტის განახლების შემდეგ იგი მოედნის ხშირი სტუმარი გახდა. მან „ულქერის" წინასასეზონო ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და მის გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. ჯერ იყო და ზაზა სტამბოლელებს საბერძნეთში, ამ ქვეყნის რამდენიმე კლუბთან ამხანაგურ მატჩებში შეეწია. მერე კი ფაჩულიამ თავისი წვლილი სტამბოლში, ორიოდ დღის წინ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირის მოგებაშიც შეიტანა, რომელშიც „ულქერის" გარდა ბერლინის „ალბა", მოსკოვის ცსკა და მინვოდის „ლოკომოტივი" გამოდიოდნენ. თურქეთის ჩემპიონებმა ჯერ იყო და რუს რკინიგზელთა გუნდი დაჩაგრეს — 101:87, ხოლო შემდეგ ფინალში მეორე რუსულ კლუბს — ცსკა-ს მოუღეს ბოლო — 88:84. ქართველმა ცენტრმა ორივე მატჩში ითამაშა და თავის გუნდს შესაბამისად 7 და 10 ქულა შესძინა.

ზაზა ფაჩულიასგან განსხვავებით, ვლადიმერ ბოისას შარშან, ისევე როგორც იმის წინა სეზონებში, თავისი გუნდის, სლოვენიის ლამის უცვლელი ჩემპიონის, ლიუბლიანას „ოლიმპიას" შემადგენლობაში ერთ მატჩშიც არ უთამაშია და განათხოვრებული ჯერ „პოსტოინას", ხოლო შემდეგ „სლოვანისთვის" ირჯებოდა. ამ უკანასკნელმა რომ სლოვენიის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიგო, ქართველის დიდი დამსახურებაა, რაც ზმაგო საგადინს, „ოლიმპიას" მთავარ მწვრთნელს, არ გამოჰპარვია და ბოისა კვლავ თავის გუნდში მიიხმო. ქართველიც სლოვენიის სხვა კლუბებში დაგროვებულ გამოცდილებას „ოლიმპიას" შეკრებებზე სამი თვის მანძილზე ავლენდა და დაუფასდა კიდეც, მისთვის ზმაგო საგადინმა ძირითადის 12 კაცში გამონახა ადგილი და ეროვნულ ჩემპიონატთან ერთად ევროლიგის განაცხადშიც შეიყვანა. ბოისა ლიუბლიანური კლუბის მოსამზადებელ მატჩებში მთელი ზაფხულის განმავლობაში სისტემატიურად თამაშობდა. გამონაკლისი არც ამ ბოლო დროს მოხდა, როცა „ოლიმპიამ" ლიუბლიანაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. სლოვენიელებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ევროპის ძლიერი კლუბები — ზაგრების „ციბონა", ბელგრადის „პარტიზანი", სტამბოლის „ეფესი" და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი ადგილი ბებერი კონტინენტის გრანდთა შორისაა. ქართველმა მხოლოდ იუგოსლავიელების ცოდვა არ დაიდო — მას „პარტიზანთან" არ უთამაშია, რაც შეეხება ხორვატიისა და თურქეთის კლუბებს, მათ დამარცხებაში ბოისას ხელიც ურევია.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ ფაჩულიასა და ბოისას ერთმანეთთანაც მოუწევთ ჭიდილი. ევროლიგაში „ოლიმპია" და „ულქერი" ერთ ქვეჯგუფში არიან.

**ირაკლი ბერტაია**

# პრეზიდენტი მოთამაშედ დაქვეითდა


მაიკლ ჯორდანი

**დღე** დღეს მისდევს, ატლანტის ოკეანის გაღმა დიდი ქვეყნიდან კი ახალი და ახალი ამბები მოდის. ცნობები მაიკლ ჯორდანს შეეხება. გუშინწინ მაიკლმა თავად დაუსვა ყველაფერს წერტილი, როცა საკუთარი პირით ამცნო ქვეყნიერებას: „მე დავბრუნდი მოთამაშედ იმ თამაშში, რომელიც მიყვარს". ჯორდანი 1 ოქტომბერს აპირებდა ოფიციალური განცხადების გაკეთებას, თუმც, როგორც ჩანს, მის ჰაერის უდიდებულესობას „სისუსტე" მოერია და სულმა წასძლია.

გუშინწინვე ცხადი გახდა, რომ ჯორდანმა „ვაშინგტონ ვიზარდსთან" ხელი მოაწერა არა ერთ, არამედ ორწლიან კონტრაქტს. კალათბურთში მეორედ დაბრუნებული 2001-02 წლების სეზონში გასამრჯელოდ ერთი მილიონის ნაცვლად 1,3 მილიონს მიიღებს. ...რადა, სანამ კალათბურთს უგანებდა, ბოლო სეზონში, ჯორდანის ხელფასი 33 მილიონს შეადგენდა. დღეს ჯორდანისთვის ფული მეათეხარისხოვანია. „მე ვბრუნდები მხოლოდ კალათბურთის სიყვარულის გამო" — აცხადებს მაიკლი.

გაცხადდა კიდევ ერთი რამ. მას შემდეგ, რაც ჯორდანმა გაყიდა „ვაშინგტონ ვიზარდსის" აქციათა დიდი ნაწილი, იგი კლუბის პრეზიდენტის თანამდებობის დატოვებას აპირებს. ასე რომ, ამიერიდან ოდენ კალათბურთის თამაშით იქნება დაკავებული და ბეჩავ „ვიზარდსს" საკუთარი ხელ-ფეხით (და არა ჯიბით) შეეშველება.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც „ვაშინგტონთან" როგორც მოთამაშემ, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ჯორდანი ხელქვეითად გაუხდა ისეთ ხალხს, რომლებიც არცთუ შორეულ წარსულში თავად დანიშნა თანამდებობებზე. მაგალითად, ასეთია „ჯალოქართა" მწვრთნელი დუგ კოლინზი, რომელიც ჯორდანმა ამ ორიოდ თვის წინ მიიწვია. აღსანიშნავია ისიც, რომ 80-იანი წლების ბოლოს კოლინზი იმ „ჩიკაგო ბულზს" მცირე ხნით წვრთნიდა, რომლის ლიდერიც ყმაწვილი მაიკლ ჯორდანი გახლდათ.

ჯორდანს 15 წლის ასაკიდან მოედანზე გამოკვეთილი ფუნქცია ჰქონდა — ლიდერის. იგი ასევე ყოველთვის ერთი ამპლუის მოთამაშე იყო — მსროლელი, ახლა კი 38 წლის მაიკლს, როგორც ჩანს, სპორტული სიბერის პირზე მოუწევს ამპლუის შეცვლა. დუგ კოლინზი ამბობს, მსუბუქ ფორვარდად ვათამაშებო (ჩვენებურად ფრთა). ამის მიზეზი ორია. პირველი, რომ მაიკლი 13 კილოთი მძიმეა „სათამაშო" წონაზე, და რა დასამალია, ძველებურად მოქნილიც ვერაა, მეორეც — „ვაშინგტონის" ლიდერი და ბოლო სეზონში ერთადერთი ხეირიანი მოთამაშე რიჩარდ ჰამილტონი წმინდა მსროლელია. ეს ყმაწვილი ნამდვილად ვერ შეასრულებს ფრთის ფუნქციებს, რადგან მაიკლზე დაბალია და დაიჩაგრება, მისი ხუთეულიდან ამოგდება კი საცოდაობაა.

თუმც მაიკლისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ამპლუაში ითამაშებს, მთავარია, რომ კვლავ გავა მოედანზე. „წელიწადზე მეტი ვიყავი კლუბის ხელმძღვანელი და მივხვდი, რომ მოედანზე მყოფი უფრო დავეხმარებოდი გუნდს. მირჩევნია, ვიმუშაო თავად მოთამაშეებთან, ჩემი გამოცდილება გავუზიარო ახალგაზრდა ბიჭებს არა ვარჯიშებზე და კაბინეტში, არამედ ნამდვილ თამაშში — თქვა გუშინწინ ჯორდანმა და იქვე დასძინა — „ჩიკაგო" ბრწყინვალე, მაგრამ მაინც წარსულია. ახლა მე მომავლისკენ ვიყურები. მთელი ყურადღება აქეთ მაქვს".

სპეციალისტთა შორის ცოტა როდი მოიძებნება, ვინც 38 წლის ჯორდანის დაბრუნებას, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად უყურებს, თუმც კალათბურთით დაკავებულთა უმრავლესობა მაინც მაიკლის მოედანზე ხილვის მოხარულია. ბევრი მაიკლის დაბრუნებას ახალი თაობის სუპერბიჭებთან მის გაჯიბრების და თავის შემოწმების სურვილით ხსნის. „ჩვენ კვლავ ვიხილავთ ყველა დროის უძლიერეს კალათბურთელს თამაშში და ამაზე კარგი რაღა უნდა იყოს. საინტერესო იქნება მაიკლის დუელი ისეთ ბიჭებთან, როგორებიც არიან ალენ აივერსონი, კობი ბრაიანტი, ვინს კარტერი, ტრეისი მაკგრეიდი და რეი ალენი. ვფიქრობ, თავად მაიკლს გაუჩნდა მათთან თამაშის სურვილი. მათი ჯობნა ჯორდანისთვის ახალი მოტივაციაა — ამბობს მძლავრი ტელეკომპანიის ენბი-სი-ს ერთ-ერთი შეფი დიკ ებერსოლი — მაიკლის დაბრუნება გვიბიძგებს, შევცვალოთ მატჩების ტელეტრანსლირების განრიგი. ცხადია, აუცილებელია, „ვაშინგტონს" გაცილებით მეტი დრო დავუთმოთ".

„ვაშინგტონმა" ბოლო სეზონი უსახურად ჩაატარა (ბედის ირონიით აღმოსავლეთში ოდენ ჯორდანის ძველ გუნდს, „ჩიკაგოს" გაუსწრო) და გუნდის მხოლოდ ერთი თამაში გადასცა ეროვნულმა ტელევიზიამ. დამდეგ სეზონში ასეთი მატჩი მინიმუმ ათი იქნება.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ქირურგიული საკითხავი

**მთელ** საკალათბურთო და არასაკალათბურთო ამერიკა მაიკლ ჯორდანის აქტიურ სპორტში დაბრუნებას ხარობს, აი, ფილადელფიაში კი მაინცდამაინც კარგ ხასიათზე ვერ არიან. ქვეყნის სიდიდით მეოთხე ქალაქის მკვიდრთა უხასიათობაში ჯორდანი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ამ სამშაბათს ორმა ფილადელფიელმა — ალენ აივერსონმა და აარონ მაკკიმ ოპერაცია გაიკეთეს და „სიქსერზის" ქომაგებს ის აფრთხობთ, ვაითუ ჩვენი ბიჭები ცუდ ფორმაში შეხვდნენ კარსმომდგარ სეზონსო.

ბოლო სეზონი საუკეთესო გამოდგა ალენ აივერსონის ხუთწლიან კარიერაში. იგი მეორედ გახდა სეზონის პირველი ბომბარდირი, პირველად — „ოლსტარის" და სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და „ფილადელფიაც" ფინალში გაიყვანა, თუმც მედალს ორი მხარე აქვს და მეტოქეები ბრწყინვალედ მობურთალ აივერსონს რომ ვერაფერს უხერხებდნენ, ეუხეშებოდნენ ეკონტაქტებოდნენ და ამიტომ მან სეზონი ისე დაასრულა, თავისი 183-სანტიმეტრიანი სხეულის ბარე ოცი ადგილი სტკიოდა. მას ჯერ კიდევ წინა სეზონის შუაწელს დაუშავდა მარჯვენა, სასროლი ხელის იდაყვის სახსარი, რაც აიძულებდა, სახვევები მთელ ხელზე დაეხვია. „ძალიან ვეცადეთ, საქმე ოპერაციის გარეშე მოგვეგვარებინა, მაგრამ არ გამოვიდა. თავად ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა" — უთქვამს ქირურგდასტაქარ ჯეიმს ენდრიუზს. ახლა აივერსონი ნაოპერაციევ ხელს მინიმუმ ოთხ კვირას ვერ მიაკარებს ბურთს, ასე რომ, მოუწევს ოქტომბერში გასამართი საწვრთნელი ბანაკის გამოტოვება და ვინ იცის, იქნებ ვერც 30 ოქტომბრისთვის იყოს მზად. ამ დღეს კი ნბა რიგით 56-ე სეზონს იწყებს.


ალენ აივერსონს მარჯვენა ხელზე სულ სახვევი ჰქონდა

რაც შეეხება აივერსონის თანაგუნდელს და მის მეწყვილეს თუ შემცვლელ აარონ მაკკის, ის ნამდვილად გამოტოვებს 2001-02 წლების სეზონის დასაწყისს. გასული სეზონის მეექვსე მოთამაშემ ანუ საუკეთესო შემცვლელმა მაკკიმ „ლეიკერსთან" ფინალური სერიის პირველ შეხვედრაში კოჭი და მხარი დაიშავა. კოჭს რა უჭირს, აი, მხრის სრულად მოშუშებისთვის კი ოპერაცია გახდა საჭირო. მაკკიმაც ამ სამშაბათს მიუშვირა მარჯვენა მხარი ქირურგის დანას და ახლა ერთი სული აქვს, როდის გავა ექიმის დათქმული ექვსი თუ რვა კვირა.

კი მაგრამ, ამ დალოცვილებს რაღა სეზონის დაწყების წინ მოუნდათ ოპერაციის კეთებაო, იკითხავს მკითხველი. ორივეს ჰქონდა ამის მიზეზი. მაკკი თავისუფალი აგენტი იყო და არავინ იცოდა, დარჩებოდა თუ არა „ფილადელფიაში" (დარჩა, ექვსი წლით და 35,5 მილიონად), აივერსონმა კი ამ აგვისტოს სწორედ ის გოგონა მოიყვანა ცოლად, რომელზეც ორი წლის წინ დაინიშნა და რომლისგანაც ორი ბავშვი (ოთხი და ორი წლისანი) ჰყავს. ასე რომ, ოპერაცია ვის ახსოვდა. ნბას უძვიფასეს მოთამაშეს სექტემბერში თაფლობის თვე ჰქონდა.

ნბა სხვა ამბებსაც იტყობინება. „ნიუ იორკ ნიქსმა" გააგდო ავსტრალიელი 218-სანტიმეტრიანი ცენტრი ლუკ ლონგლი. მან კი აიღო და კალათბურთს გამოეთხოვა. მიზეზად ლონგლი მარცხენა ქუსლის ქრონიკულ ტრავმას ასახელებს, რამაც „ნიუ იორკში" მისი ნიჭის გაფურჩქვნას შეუშალა ხელი. ლონგლი 1991 წლიდანაა ნბა-ში, ოთხ გუნდში ხუთასზე მეტი შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ 7,2 ქულა და 4,9 მოხსნა მოიხვეჭა. 32 წლის ავსტრალიელი ამერიკული კალათბურთიდან სამი საჩემპიონო ოქროთი ხელდამშვენებული უბრუნდება მშობლიურ ქვეყანა-კონტინენტს. გეხსომებათ, იგი იმ „ჩიკაგოს" ძირითადი ცენტრი გახლდათ, 1996-98 წლებში ზედიზედ სამჯერ რომ გადაუარა ყველას.

თუ ლონგლი ცხოვრების დინებამ ნბა-დან გაიტაცა, სამაგიეროდ, ფრანგი ენტონი პარკერი გამორიყა ნბა-ს ოქროს ნაპირებზე. წლევანდელი დრაფტის პირველი წრეში აყვანილ ამ ყმაწვილკაცს „სან ანტონიო სფურზმა" სამშაბათს კონტრაქტი გაუფორმა და თავის ოჯახში მიიღო.

**იმანე ძოწიაშვილი**



ვუელტა 2001

# საბოლოოდ კონეჩნიმ მოიგო

**ულტრასწრაფი** ეტაპი უცნობი სპრინტერის, ჩეხი ტომაშ კონეჩნის გამარჯვებით დასრულდა. დასვენების დღის შემდეგ პელოტონმა რბოლა ძალიან დიდი სიჩქარით დაიწყო და პირველი საათის განმავლობაში დაახლოებით 50 კილომეტრის გავლა მოასწრო. ტურნირს შემორჩენილი 148 მრბოლი, ამის მიუხედავად, მაინც შეტევებზე ფიქრობდა. ყველაზე მეტად ორი ეტაპის მომგები შოტლანდიელი დევიდ მილარი აქტიურობდა.

ალკოიდან წამოსვლის შემდეგ 8 კილომეტრში მილარი ხუთ სხვა მრბოლთან ერთად გაექცა პელოტონს. თუმცა აღნიშნულმა ხუთეულმა ოციოდე კილომეტრის მერე თეთრი ბაირაღი გამოჰკიდა და მილარი წინ მარტოობაში დატოვა. კიდევ 9 კილომეტრი მან რამდენიმე ათეული წამი უპირატესობა შეინარჩუნა და ექვსი მრბოლის დახმარებაც მიიღო. სკოტს ვისიოსო, ტრენტი, ელი, ბარანოვსკი, ბოვენი და ჰანტერი შეუერთდნენ.

ეს შვიდეული პელოტონმა ცოტა წინ გაუშვა და 2 წუთითა და 30 წამით ჩამორჩა. ამ მომენტში მურსიამდე 85 კილომეტრი რჩებოდა. აქედან მოყოლებული კი მთავარმა ჯგუფმა დევნა გამოაცხადა და 55 კილომეტრის შემდეგ ლტოლვილებიც ჩაყლაპა.

დღის მთავარი დაბრკოლება, ალტო დე კრესტა დე გალოსთან მრბოლთა უმრავლესობა შეჯგუფული მივიდა. მეორე კატეგორიის სიძნელის აღმართის დასაწყისიდანვე იერიშები განახლდა. ჯერ ფლეშამ სცადა ბედი, მერე ხიმენესმა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, რაშიც ოსკარ სევილიას დიდი დამსახურებაცაა.

მწვერვალამდე ორიოდ კილომეტრით ადრე უკვე კარლოს სასტრე გაიქცა და ოციოდ წამით სხვებზე ადრეც დაეშვა თავდაღმართზე, რომელიც ასეთი დიდი ტურისთვის აშკარად მოუმზადებელი იყო, რადგან მოასფალტებული გზა ბევრ ადგილას გაფუჭებულიყო.

სასტრე მაინც დიდი სისწრაფით დაეშვა და ძალიანაც შეცდა. პირველი წაფორხილებისას მხოლოდ ოდნავი შეშინებით გადარჩა, მაგრამ მეორედ უკვე პირდაპირ გადავარდა გზიდან. საბედნიეროდ მას სერიოზული ტრავმა არ მიუღია და ფინიშსაც უწია. მისი უიღბლობით რუბიერამ და ვირანკმა ისარგებლეს, რომლებსაც კონტრიერიში ჰქონდათ წამოწყებული და უცბად თავი რბოლის სათავეში ამოჰყვეს. ფინიშამდე 7 კილომეტრიღა რჩებოდა.

თუმცა ბოლომდე არც ამ დუეტს გაუმართლა და მათ 30 კაციანი ჯგუფი წამოეწია. აქ ტონს „მილანეზა" იძლეოდა, რომლის სპრინტერ ანხელ ედოს წარმატების საუკეთესო შანსი ჰქონდა, მითუმეტეს, რომ ერიკ ზაბელი აღმართზე ჩამორჩენილიყო.

სპრინტი დავიდ ეჩებერიამ წამოიწყო, მაგრამ ვერც მან და ვერც ედომ ვერ გაიხარეს. საიდანღაც ყველასთვის უცნობი ჩეხი გამოხტა და ცნობილნი მშრალზე დატოვა.

„წესით ეს ეტაპი ჩემი უნდა ყოფილიყო. თავიდან, როცა „ვუელტას" პროგრამას გავეცანით, სწორედ აქ დავგეგმეთ მთავარი შეტევა ეტაპის მოსაგებად. თუმცა საბოლოოდ კონეჩნიმ მოიგო და მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ის ჩემი თანაგუნდელია" — განაცხადა ფრანგმა რიშარ ვირანკმა.

საერთო ჩათვლაში მოწინავეებს პოზიციები არ შეუცვლიათ. „ამ მთაზე „ვუელტას" მოგება არ შეიძლებოდა. სამაგიეროდ ისეთი თავდაღმართი იყო, სავსებით მოსალოდნელი იყო ვინმეს ჩემპიონობის შანსი სწორედ აქ დაეკარგა. შესაბამისად მშვიდად ვიყავი და სევილიას კუდში მივსდევდი. შეტევაზე არც მიფიქრია" — ეს სიტყვები კასეროს ეკუთვნის, რომელიც გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას ჩემპიონობისთვის „კელმეს" ახალგაზრდა მთიელთან დასკვნით ეტაპზე, მადრიდში დანიშნულ ინდივიდუალურ რბოლაში აპირებს.

**გაგი გურული**

**მეთოთხმეტე ეტაპი**

ალკოი — მურსია, 153,3 კმ

1. ტომაშ კონეჩნი (ჩეხეთი, დომო) 3სთ 11წთ 33წმ
2. დავიდ ეჩებერია (ესპანეთი, ესკალტელი)
3. ანხელ ედო (ესპანეთი, მილანეზა)
4. ბეატ ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი)
5. იგორ პუგაჩი (მაკედონია, საეკო) ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) 55სთ 04წთ 58წმ
2. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +25წმ
3. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) +2წთ 02
4. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +2წთ 20
5. დავიდ პლასა (ესპანეთი, ფესტინა) +3წთ 31



ტომაშ კონეჩნიმ დავიდ ეჩებერიას ბოლო მეტრებზე აჯობა

**განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრი**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ხელოვნების სტუდიაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტანსაცმლის მოდელირების სპეციალობებზე.
მოსწავლეები შეისწავლიან ფერწერას, გრაფიკას, ძერწვას, გობელენსა და მაკრამეს, ხისა და ლითონის დამუშავებას.
სტუდიაში მიიღებიან ბავშვები შვიდი წლის ასაკიდან და ზემოთ.

მისამართი: დავით აღმაშენებლის 68.
ტელ: 95 48 57, 92 03 96

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრავმა

დახეთ, რა შეემთხვა მატადორ ვალენტინო რუისს მადრიდის „ლას ვენტასის“ არენაზე. კორიდა სპორტი არ არის, კორიდა სიკვდილ-სიცოცხლის თამაშია და ჭრილობა რაგინდარა უხერხულ ადგილას გქონდეს, ცოცხალი თუ ხარ, კარგია. საბრალო ვალენტინოსთვის კი ექიმებს სულ რამდენიმე დღით აუკრძალავთ დაჯდომა.





REUTERS

# ყოფილი ხელქვეითი

ახლა ამ კაცს ჟურნალისტები აღარ მოასვენებენ, ვინაიდან ძველი დროის საუცხოო მოთამაშე დაგ კოლინზი ახლა „ვაშინგტონ ვიზარდსის“ მწვრთნელი გახლავთ. კოლინზი მწვრთნელად კლუბის პრეზიდენტმა, მაიკლ ჯორდანმა დანიშნა, ამასობაში კი ისე მოხდა, რომ მწვრთნელს შეფი ხელქვეითად ექცა. „მე დავუბრუნდი თამაშს, რომელიც მიყვარს“, თქვა ჯორდანმა და კოლინზიც დიდად გაახარა.



# ჯულიანი იანკებთან

„იანკი სთედიუმზე“ კიდევ ერთხელ მისულა ნიუ იორკის მერი რუდოლფ ჯულიანი და „ნიუ იორკ იანკიზის“ ბეისბოლისტთა გუნდის მენეჯერ ჯო ტორესთან ერთად მიუმართავს გულშემატკივრებისათვის. „იანკებმა“ პირველად ითამაშეს მშობლიურ სტადიონზე 11 სექტემბრის აფეთქებათა შემდეგ. მათი მეტოქე „ტამპა ბეი დევილ რეიბი“ იყო.



# ისევ მეორეა

ვუელტას, ესპანური ველოტურის მეთექვსმეტე ეტაპი გაილია. საერთო ლიდერი კვლავ ოსკარ სევილია გახლავთ, ეს ეტაპი კი ჩეხმა ტომაშ კონეჩნიმ მოიგო. ესპანელმა ანხელ ვასერომ (ფოტოზე) ლიდერობა კვლავ ვერ იგდო ხელთ და საერთო ჩათვლაში მეორეზეა. ვინ იცის, ეგებ ბანანის ჭამამ მოაცდინა მომქანცველი რბოლისას.



REUTERS

# გამოეთიშა

უიღბლოდ გაასრულა ჰონკონგის საერთაშორისო ტურნირი ამერიკელმა ჩოგბურთელმა ენდი როდიკმა. „ვიქტორია პარკის“ კორტებზე მიმდინარე პირველი რაუნდის შეხვედრაში მან პირველი სეტი მოუგო (6:3) ბრაზილიელ ანდრე სას, მეორე წააგო (4:6), მაგრამ თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო ფეხის ტკივილის გამო და ჯერ ხეირიანად არდაწყებული საქმე დაამთავრა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge